# საბჭოთა სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 20 მარტი 2008 №062 (3286) ფასი 50 თეთრი

## საუბრები პროკურატურის დასკვნამდე

# საეჭვო მატჩები ჩვენს ფეხბურთში






### ახალი ძველებს იტოვებს

ინტერვიუ ოლიმპის მთავარ მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილთან 2



ილია კოკაია:

### თუ ერთხელაც წავედი, მაშინ მართლა წავალ

3

## 25:6

### საქართველომ რუსეთი დაათვრამეტიანა

ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკმა ლელოებმა ინგლისთან წაგების მერე რუსეთი დაამარცხა 16



### ელენემ ბეწვის ხიდზე გაიარა

16



გუშინ რუსთავის „ოლიმპის“ ხელმძღვანელობამ უკრაინელი მწვრთნელის ანატოლი პისკოვეცის თხოვნა დააკმაყოფილა და მანაც რუსთავული გუნდი დატოვა.

გუშინდელ „სარბიელში“ პისკოვეცის ინტერვიუს წაიკითხავდით — მან თავად ითხოვა გუნდიდან წასვლა, მიზეზად კი მისი ოჯახის წევრების ავადმყოფობა დაასახელა.

გუშინვე „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი **ხვიჩა ქასრაშვილმა** დაიკავა, რომელიც პისკოვეცის „ოლიმპში“ მისვლამდე ვარლამ კილასონიას თანაშემწე იყო. მანამდე ქასრაშვილს თბილისის „დინამოში“, ბოლნისის „სიონში“ და საჩხერის „ჩიხურაშიც“ უმუშავია.

„ოლიმპის“ ახალ თავკაცს ინტერვიუს გუშინ ჩამოვართვით...

# ხვიჩა ქასრაშვილი: ვარლამ კილასონიას არსად გავუშვებ

— რუსთავის „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელად უკვე ოფიციალურად დაინიშნეთ?

— დიახ, დღეს კრება იყო და კლუბის დირექტორატმა ოფიციალურად წარმადგინა.

— საქმეს როდის შეუდგებით?

— ხვალიდანვე. პირველი ვარჯიში თბილისში გვექნება, რუსთავში მინდორი ცუდ მდგომარეობაშია.

— რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ?

— ჯერ სეზონის ბოლომდე და შემდეგ ვნახოთ...

— ამ სეზონის დაწყებამდე, როცა ვარლამ კილასონია იყო მთავარი მწვრთნელი, თანაშემწედ მუშაობდით. შემდეგ მოვიდა უკრაინელი ანატოლი პისკოვეცი და გუნდი დატოვეთ. რა მოხდა მაშინ?

— რევაზ ძოძუაშვილის „ოლიმპიდან“ წასვლის შემდეგ მთავარი მწვრთნელი კილასონია გახდა. კლუბის ხელმძღვანელობამ მთხოვა, მისი თანაშემწე ვყოფილიყავი და გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ერთად მოგვემზადებინა. საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მე და კილასონია მეგობრები ვართ. მერე პისკოვეცის მოყვანა გადაწყვიტეს და წასვლა ვამჯობინე. ეს იყო და ეს.

— მას შემდეგ უმუშევარი იყავით. სხვა გუნდებიდან შემოთავაზება არ მიგიღიათ?

— როგორ არა, სამი უმაღლესლიგელი კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ ვიუარე, რადგან უამბიციო გუნდში მუშაობა არ მინდოდა, „ოლიმპში“ კი დიდი გეგმები აქვთ და ამიტომაც დავყაბულდი.

— ახლა თქვენი თანაშემწე კილასონია იქნება?

— ჩემი სურვილია, ვინც პისკოვეცს ეხმარებოდა, გუნდში დარჩეს. მე არავის გაშვებას არ ვაპირებ.

— სატრანსფერო ფანჯარა დახურულია და ფეხბურთელებს ვერ შეიმატებთ. „ოლიმპს“ ხომ არავინ დატოვებს?

— სეზონს ამ ფეხბურთელებით ჩავამთავრებთ.

— პისკოვეცს უკრაინელი ლეგიონერები — ალექსანდრ ომელიანოვი და ანტონ კოვალევსკიც ხომ არ გაჰყვებიან?

— როგორც ვიცი, ამ ორ ფეხბურთელს „ოლიმპთან“ კონტრაქტი აკავშირებს. ისინი სეზონის ბოლომდე ჩვენთან იქნებიან.

— გუნდის ხელმძღვანელობამ რა მიზანი დაგისახათ?

— ყველა თამაშზე მობილიზებულები უნდა გავიდეთ და, რაც შეიძლება, მეტი ქულა მოვიპოვოთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# საჩხერეს ნაკრები ესტუმრა

## სეგრტმა ჩიხურა საინტერესოდ ავარჯიშა



**ამას** წინათ ვწერდით, რომ 19 მარტს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხორვატი მწვრთნელი პეტარ სეგრტი ზემო იმერეთს ეწვეოდა და პირველლიგელ საჩხერის „ჩიხურას“ ერთჯერად ვარჯიშს ჩაუტარებდა.

გუშინ სეგრტი საჩხერეში მარტო არ ჩასულა, მასთან ერთად 16-წლამდელთა ნაკრების ახალი თავკაცი გიორგი დევდარიანი, სერგო კოტრიკაძე და ასლან ბალაძეც იყვნენ. წვრთნამ საათნახევარს გასტანა — სანაკრებო სპეციალისტების ერთობლივად ჩატარებული ვარჯიში ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი გამოდგა.

მოგეხსენებათ, „ჩიხურას“ მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძეა, თანაშემწე კი ვახტანგ თურმანიძე. ამ წვრთნასთან დაკავშირებით, შთაბეჭდილება თურმანიძემ გაგვიზიარა: „ასეთი ვარჯიშების ჩატარება ძალიან კარგია. ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმულია. რაც მეტ ახალს გაიგებენ, მით უკეთესია მათთვისაც და ჩვენთვისაც“.

**ნუკრი ლოლაძე**

# პროფლიგის დასტური და ცქიტიშვილი ლოკომოტივში

**თბილისის** „ლოკომოტივმა“ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში შეიტანა ლევან ცქიტიშვილის გუნდის განაცხადში შეყვანის მოთხოვნა, თუმცა თავს ვერ დავდებთ, რომ ის გუშინ ღამითვე ოფიციალურად გახდებოდა ვაკელთა ფეხბურთელი.

შესაძლოა, პროფლიგამ დღეს დააკმაყოფილოს „ლოკომოტივის“ განაცხადი.

ისე, როგორც კლუბის პრესატაშე მინდია გაბაშვილმა გვითხრა, ცქიტიშვილი უახლოეს ტურში, „მგლებთან“ ვერ ითამაშებს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კვიპროსმა უკრაინას საბერძნეთი მიუმატა

**მსოფლიოს** 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის კვიპროსის ნაკრებიც ემზადება. კუნძულელებმა მორიგი სპარინგი დანიშნეს — 19 მაისს ამხანაგურად სტუმრად საბერძნეთს გაეჯიბრებიან.

მიმდინარე წელს კვიპროსელებმა ერთი ამხანაგური მატჩი უკვე გამართეს და შინ უკრაინას (1:1) დაუზავდნენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

მანჩესტერი 2:0 ბოლტონი
ტოტენჰემი 4:4 ჩელსი

### იტალია

სერია A. XXIX ტური

მილანი 1:2 სამპდორია
კალიარი 1:0 ატალანტა
კატანია 0:0 სიენა
ემპოლი 0:0 იუვენტუსი
ჯენოა 1:1 ინტერი
ლივორნო 1:1 რეჯინა
ნაპოლი 2:0 ფიორენტინა
პარმა 2:1 პალერმო
ტორინო 0:1 უდინეზე
ლაციო 3:2 რომა

### უკრაინა

თასის ნახევარფინალი
I მატჩები

ჩერნომორეცი 1:2 შახტარი
დინამო 2:1 მ. დონეცკი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები

დიუსელდორფი 1:2 დინამო
ემდენი 0:0 ესენი

თასის ნახევარფინალი

ბაიერნი 2:0 ვოლფსბურგი

### საფრანგეთი

თასის მერვედფინალი

ბორდო 2:0დ.დ (0:0) ლილი
ამენი 1:1დ.დ.(4:23) არლე
ლორიანი 0:1 მეცი
კარკეფუ 1:0 მარსელი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი

პსვ 0:0 აიაქსი

თასის ნახევარფინალი

ჰერაკლესი 2:2დ.დ.(3:5 პ) როდა

### ბელგია

თასის ნახევარფინალი
I მატჩი

ანდერლეხტი 1:0 ბეერსხოტი

### შოტლანდია

II დივიზიონი
გადადებული მატჩი

ერდრი 0:2 ეარი

III დივიზიონი
გადადებული მატჩი

ელგინი 3:0 ისტ სტირლინგი

ასოციაციის თასი
მეოთხედფინალი

რეინჯერსი 1:1 პარტიკი

### დანია

სუპერლიგა. XX ტური

ჰორსენსი 1:2 ოლბორგი
ესბიერგი 2:1 კოპენჰაგენი

### ფინეთი

ლიგის თასი. VI ტური
I ჯგუფი

კუოპიო 0:2 ჰონკა

II ჯგუფი

კტპ 2:2 ვაასა

### ავსტრია

ბუნდესლიგა. XXX ტური

ალტახი 1:2 შტურმი
ლინცერი 3:3 ტიროლი
რიდი 0:0 მატერსბურგი
პაშინგი 0:0 ზალცბურგი

### შვეიცარია

სუპერლიგა. XXVI ტური

ბაზელი 2:1 გრასჰოპერი
თუნი 1:1 აარაუ
ციურიხი 2:1 სიონი

ჩელენჯლიგა. XXIV ტური

ლოკარნო 2:0 ვოლენი
დელემონი 1:2 ლოზანა
შო დე ფონი 1:1 კრიენსი
ლუგანო 3:1 ჩამი
შაფჰაუზენი 0:0 კიასო
ვილი 1:0 ივერდონი
სერვეტი 3:1 ვადუცი

### საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

ლარისა 1:3 თრასივულოსი (0:1)
ოფი 2:1 ატრომიტოსი (1:3)
ირაკლისი 2:2 ოლიმპიაკოსი (0:2)

### ესპანეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

რასინგი 1:1 ხეტაფე (1:3)

### პოლონეთი

ლიგის თასი
ნახევარფინალი. I მატჩი

ლეგია 1:1 ვისლა

### ხორვატია

I დივიზიონი. XXIV ტური

მედიმური 2:3 ზადარი
ზაგრები 0:0 დინამო
შიბენიკი 0:0 რიეკა
ინტერი 0:0 სლავენი
ოსიეკი 2:1 ციბალია
ვარტექსი 4:0 ჰაიდუკი

### თურქეთი

თასის ნახევარფინალი
I მატჩი

გენჩლერი 1:0 გალათასარაი

# თუ ერთხელაც წავედი. მაშინ მართლა წავალ!

## ილია კოკაია: თემურ მახარაძის მოხსნაზე არც მიფიქრია

**ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოგება — გორის „დილასთვის“ ან თბილისის „მერანისთვის“ იქნებოდა კარგი შედეგი, „ზესტაფონისთვის“ კი არამც და არამც. მგონი, საქმე იქით მიდის, რომ ფეროელები ჩემპიონობისთვის ვეღარ იბრძოლებენ. წლეულს უკვე 7 ქულა დაკარგეს და ეს ბევრი კი არა, ძალიან ბევრია, მით უმეტეს, იმ ჩემპიონატში, სადაც წამყვან კლუბებს იშვიათად უცდებათ ფეხი. „როდესაც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი ვთქვით, ლამის ანათემას გადამცეს, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, საბოლოოდ გადავწყვეტ ჩემპიონატიდან გასვლას და საამისო არგუმენტებიც მექნება“ — გვითხრა „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ, რომელთანაც ვრცელ ინტერვიუს გთავაზობთ და, იცოცხლეთ, ბევრ საინტერესოს გაიგებთ. კოკაია ქარიზმატული ფიგურაა ქართულ ფეხბურთში. ის ერთ-ერთი იმათგანია, ვინც დიდძალ ფულს ხარჯავს კლუბისთვის და ფინანსურად ნაგებაშია. მართლაც, ბევრი ქართული კლუბის პრეზიდენტი როდი ფიქრობს ევროსარბიელზე წარმატებით გასვლაზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, შორსმიმავალ გეგმებზე... „ზესტაფონის“ პირველკაცს გერმანიაში დავუკავშირდით...**



**— „ზესტაფონმა“ ბლომად ქულები დაკარგა და ალბათ ძალიან გაუჭირდება ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ამის გამო რადიკალურ ცვლილებებს ხომ არ აპირებთ კლუბში?**

— თუ შემადგენლობის გაძლიერებას გულისხმობთ, დიდი შანსია, გიორგი მაკარიძე დავიმატოთ. „დინამოსთან“ უკვე მოლაპარაკებულნი ვართ. მე არ ვამტყუნებ დინამოელებს, რომლებსაც დიდიე ოვონო ჰყავთ კარში, ის მართლაც კარგი მეკარეა და მაკარიძე კონკურენციას ვერ უძლებს. მართალია, ეროვნული ნაკრების მეკარე ჩვენც გვყავს, მაგრამ მაკარიძეს აქ თამაშის მეტი შანსი ექნება.

**— როდის შეიძლება ეს ტრანსფერი შედგეს?**

— ალბათ, თვის ბოლოს. 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიაში ვაპირებ წასვლას საქართველოს ნაკრების თამაშის სანახავად და მაკარიძესაც შევხვდები. მთავარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მისი ტრანსფერის უფლება მოგვცეს. მართალია, ახლა დაკეტილია ფანჯარა, მაგრამ ამ შემთხვევაში, შეიძლება, გამონაკლისი დაიშვას. კიდევ არის ერთი პრობლემა: ვინმე პიროვნება არ გამოჩნდეს, ვინც მაკარიძეს ოქროს მთებს დაჰპირდება და თავგზას აუბნევს.

**— რადიკალურ ცვლილებებზე რომ გკითხეთ, მწვრთნელი თემურ მახარაძეც ვიგულისხმე. მის მოხსნაზე უკვე ხშირად ლაპარაკობენ...**

— არა, ეს ჭორი საიდან?! ჩვენ ხუთწლიანი პროგრამა გვაქვს მახარაძესთან ერთად. ვხედავ, რომ ის ახალგაზრდებს ენდობა, ნიჭიერი, კარგი მწვრთნელია და რატომ უნდა მოვხსნა?! ჩემზე კარგად ვინ იცის, რომ „ზესტაფონი“ საკადრის თამაშს ვერ აჩვენებს, მაგრამ საამისოდ ბევრი მიზეზია. სასწაულს ვერ მოვახდენთ, „ზესტაფონს“ ყველა ორმაგი მონდომებით ეთამაშება...

**— ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ქვეტექსტსაც მიგიხვდით — ყველა ყველას არ ეთამაშება, ხომ?**

— ამიტომაც არ მხიბლავს საქართველოს ჩემპიონობა. აქ რომ ერთმანეთის დაზოგვა და მიცემა მიდის, ამიტომაცაა, ევროტურნირებზე რომ საშინელი შედეგი აქვთ ქართულ კლუბებს. „დინამოს“ მიზანი არ უნდა იყოს, ევროპაში აჩვენოს თავისი ძალა?! გინდ „დინამოს“ და გინდ სხვების... ფულს ვხარჯავთ და გამართლებას ვერ ვპოულობთ. ერთია გამართლება, აქ რომ მინდორი არ გვაქვს და ჩემპიონი ხდები, მერე კი ევროთასზე პირველივე ეტაპზე ვარდები?!

**— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ვებრძოლოთ ამ ჩაწყობილ და მიცემულ თამაშებს?**

— მაგას ვერ გამოიძიებ. ჩვენთან კი არა, წამყვან ევროპულ ქვეყნებში ვერ იძიებენ. თვითონ კლუბის ხელმძღვანელები უნდა დაფიქრდნენ, რას აკეთებენ. ზოგიერთი კლუბი განათხოვრებულ ფეხბურთელებს მათთან თამაშს უკრძალავს, რაც ჩემამდე არ დადის. პირიქით, ჩემს წინააღმდეგ მატჩში უნდა დაამტკიცოს, რომ დაბრუნების ღირსია, აქ კი, რა ხდება...

**— ვერ გამოიძიებ ჩაწყობილ თამაშებსო, თქვით და რამდენად რეალობად მიგაჩნიათ, რომ კლუბები თვითონ გამოიჩენენ კეთილ ნებას?**

— ამ მხრივ, გარკვეული პროგრესი უნდა იყოს. ვიცი, რომ ბევრი კლუბის ხელმძღვანელმა ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლისთვის მზადყოფნა გამოთქვა. მთავარია, სიტყვა საქმედ იქცეს. ყველამ უნდა შევიგნოთ: ჩვენ ვართ დანგრეულის შენების პროცესში. ამ დროს უკვე კონკურენტები არ ვართ, ყველამ ერთად უნდა ვაკეთოთ საკეთებელი...

**— გასაგებია, რომ ეროვნულ ჩემპიონატში არსებული გარემო თქვენი დანახარჯის გამართლებაში ხელს გიშლით და როდემდე გაგრძელდება ასე? ხომ შეიძლება, ერთ დღეს მოგწყინდეთ ეს ყველაფერი...**

— ლამის ანათემას გადამცეს, როცა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განვაცხადეთ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მართლაც, არანირი აზრი არ აქვს კლუბის ყოლას. ყოველი დღე ჩემთვის ფულია და ასე გადაყრა არ მინდა. წელიწადში 2 მილიონი იხარჯება „ზესტაფონზე“ და შედეგი? ჭკუაზე შევიშალე, როცა ინტერტოტოზე ყაზახებმა გვაბურთავეს, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო ჩვენი სუსტი ეროვნული ჩემპიონატის ფონზე.

**— ძლიერი კლუბის შექმნას ხომ ძლიერი შემადგენლობა უნდა...**

— მაგრამ ჯერ ინფრასტრუქტურის ბოლომდე მოწესრიგებაა საჭირო. სად ჩამოვიყვანო ძლიერი ფეხბურთელი, მარტო ფულით ხომ ვერ მოხიბლავ? სად ჩამოიყვან ძლიერ მწვრთნელს, ექიმს ან ნებისმიერ პერსონალს, როცა საკადრის გარემოს ვერ ახვედრებ... ამირან სანაია „ლე მანში“ რომ გავყიდეთ, ჩემთვის უმძიმესი დარტყმა იყო. ეს ბიჭი დიდ ხელფასს კი არ ითხოვდა, უბრალოდ, იცის, რომ „ლე მანში“ ასჯერ უკეთეს მინდორზე ივარჯიშებდა და ითამაშებდა. დიდი ხანია, მოძებნილი მაქვს მიწა, სადაც ბაზისა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შექმნა მსურს. ხუთი მოედნის გაკეთება მინდა, ევროპის გრანდებს რომ აქვთ ბაზა და სკოლა, ისეთი იქნება, მაგრამ... ვერ ვყიდულობ ადგილს.

**— რატომ არ გაძლევენ ამის საშუალებას?**

— არ ვიცი, მოჯადოებულ წრედ იქცა. ხომ არ ვითხოვ, მაჩუქეთ-მეთქი? ყიდვა მინდა! ეს არის ჩემთვის ნომერ პირველი მიზანი: ინფრასტრუქტურას ველოდები. მეუბნებიან, კარგია, რაც გაქვს გეგმაშიო, მაგრამ მაინც არ დაადგა საშველი. მინდა, რომ ამ ბაზაზე იგივე კლაუს ტოპმიოლერი ჩამოვიყვანო, ბევრს ისწავლიან მისგან ქართველი მწვრთნელები, სტიმული იქნება... აი, მიწის ყიდვას ვერ ვახერხებ, როცა გეგმა მაქვს მოხაზული. ამ დროს კი ვიძახით, შედეგი არ გვაქვს, ფედერაციის პრეზიდენტი უნდა გადადგეს და ამისთანებს. რა აზრი აქვს პრეზიდენტის შეცვლას, თუ ფეხბურთისადმი მიდგომა არ შეიცვლება?!

**— სახელმწიფო პროგრამა კი არა და არ ხორციელდება. არადა, თებერვალში უნდა ამუშავებულიყო...**

— ეს ძალიან კარგი პროგრამაა. სახელმწიფო თუ გვერდით არ დაუდგება ფეხბურთს, არაფერი გამოვა. ბიზნესმენებს ფეხბურთში მოსვლა არ უნდა აშინებდეთ. უკრაინიდან თითქმის ყოველ წელს ორი გუნდი თამაშობს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. საქართველოდან ერთი გუნდი გავიდეს და მერე ნახეთ, რა დაძაბული ჩემპიონატი გვექნება. თითქოს არარეალურს ვამბობ, არა? არადა, მართლა შესაძლებელია, თუკი ეს პროგრამა ამუშავდება და ბიზნესმენები ფეხბურთისკენ გამოიხედავენ. ჩემპიონთა ლიგაში „ზესტაფონის“ გასვლა ყველაზე მეტად გამიხარდება, მაგრამ არანაკლებ გამიხარდება, სხვა ქართული გუნდი თუ გავა. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ისეთ პერიოდში ვართ, როცა ერთმანეთის კონკურენტები კი არა, გვერდით მდგომები უნდა ვიყოთ. ჯერ შინაური სამზარეულო უნდა მოაწყო, მინდორი თავის ბაზიანად, მოაწესრიგო ინფრასტრუქტურა და, როცა ძლიერი იქნები, ევროტურნირებიდან ამოიღებ დანახარჯს. არ მესმის, რატომ იწყებენ ზოგიერთები საქმის კეთებას ბოლოდან — რად გინდა ჩემპიონობა, თუკი ევროპაში შერცხვები?! აი, ორი წლის წინ „ლოკომოტივს“ აღარ ეყო ნერვები და გუნდი დაშალა, იმიტომ, რომ მიხვდა, არანაირი აზრი არ ჰქონდა საქართველოს თასის აღებას.

**— რასაც თქვენ ლაპარაკობთ და გეგმაში გაქვთ, ძალიან კარგია, მაგრამ აქ ყველა პროცესი იწელება... ბავშვთა საფეხბურთო სკოლაზეც გვითხარით...**

— თუ მიწის ყიდვას ველოდები, კარგ ბავშვთა სკოლას გავაკეთებ. თემურ უგულავას რომ ჰქონდა ბავშვთა სკოლა „ოლიმპი“, იქ რამდენი ფეხბურთელი გაიზარდა?

**— საკმაოდ ბევრი და თან, ნიჭიერები...**

— ესე იგი, მოკლე დროში შეიძლება კარგის გაკეთება. დაკვირვებული ვარ, როგორც კი პატარა რაღაცას გააკეთებ, თუნდაც ერთ მინდორს აშენებ, ეგრევე შეიმჩნევა.

**— ბოლოს გიორგი განუგრავას „ბოლესლავში“ ტრანსფერზეც შეგეკითხებით. ტრანსფერიდან კომპენსაცია თუ მიიღო „ზესტაფონმა“?**

— არ მივიღია და ამის გამო, ფიფასაც ვაცნობებთ. ეს ფედერაციის გასაკეთებელია. „ბოლესლავი“ არ არის ფინანსურად წელგამართული კლუბი, რაღაც პრობლემები აქვთ... ასეც არ იყოს, განუგრავას „ბოლესლავისთვის“ ვერ გადავამეტებდი, მაგრამ ამ ბიჭს თავგზა აუბნიეს, ერთი წელიწადი აქეთ-იქით ატარეს და შედეგიც სახეზეა. განუგრავას წინსვლა გამიხარდება, ეგებ, ნაკრებშიც დაბრუნდეს და თავისი ნიჭის საკადრისი ფეხბურთი ითამაშოს, მაგრამ ის პიროვნება, ვინც მას ამდენი დრო დააკარგვინა და ჩვენც გვაზარალა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს!

**ილია ნანობაშვილი**

# ასკარა დაუჯერებლის ნაკვალევზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა, პირდაპირ ვთქვათ, ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო — გარიგებული მატჩების გამოსააშკარავებლად დახმარება საქართველოს გენერალურ პროკურატურას სთხოვა და რამდენიმე საეჭვო მატჩის ჩამონათვალიც გადასცა. მოკლედ, ახლა პროკურორთა დასკვნას ველით და დიდი იმედიც გვაქვს, რომ საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი.

მთელ ამ ამბავში სიახლე გამოძიებაში პროკურატურის ჩართვაა, თორემ პრობლემა რომ უძველესია, მტკიცება რად უნდა. სხვა რომ არაფერი, საქართველოს ჩემპიონატში არსებობს გარიგებულ თამაშთა მხილების პრეცედენტები.

დღეიდან „სარბიელი" ჩაწყობილ-გარიგებული მატჩების თემაზე წერილების ციკლის ბეჭდვას იწყებს. გავიხსენებთ წლების წინ გარიგებულად მხილებულ მატჩებს და იმასაც, გაუგებარ (ეგებ, პირიქით, გასაგებ) მიზეზთა გამო, სამხილთა სიმრავლის მიუხედავად, ეგრეც რომ არავინ შეიწუხა თავი გამოსაკვლევად. ვილაპარაკებთ სპორტულ ჟურნალისტთა როლზე გარიგებულ მატჩთა მხილებაშიც და ქართველ მსაჯთა ნაწილის და მსაჯთა დამკვირვებლების მუშაობის სტილზეც.

დაგვეთანხმებით, მსაჯობაზე ლაპარაკის გარეშე თემა სრული ვერ იქნება.

დღეს კი ციკლის პირველ ნაწილს შემოგთავაზებთ. დღევანდელი თემა 1999 წლის „ლოკომოტივი" — „დინამოს" (1:2) გახმაურებული მატჩია და საუკეთესო ნიმუშადაც გამოდგება იმის საჩვენებლად, თუ როგორ უნდა ნაუყრუო გარიგებული მატჩის თემას...

მაშ ასე, 1999 წლის 13 ნოემბერი. თბილისი, ეროვნული სტადიონი. „ლოკომოტივი" „დინამოს" მასპინძლობს. მაშინდელი რეგლამენტით, 16 გუნდი ორ, 8-8 გუნდიან ზონებად იყო დაყოფილი. ზონების 4-4 საუკეთესო კი ჩემპიონობისთვის ბრძოლას მეორე ეტაპზე აგრძელებდა. იმ დროისთვის, ხსენებული წლის 13 ნოემბრისთვის კი, „დინამოს" მეორე ეტაპზე გასვლა გარანტირებული ჰქონდა, ხოლო „ლოკომოტივი" მე-5 ადგილზე იყო, ერთი ნაბიჯი და...

მატჩის პირველი ტაიმისა და მეორე ტაიმის 40 წუთის აღწერით თავს არ შეგაწყენთ. მოკლედ გეტყვით, რომ „ლოკომოტივი" ლევან ქებაძის 32-ე წუთზე გატანილი გოლით იგებდა, არბიტრმა გურამ ასკაროლლიმ კი იმ ავადსახსენებელ 85-ე წუთზე რკინიგზელთა კარში პენლტი დანიშნა და დაიწყო...

მატჩის მიმოხილვაში „სარბიელის" ჟურნალისტი კონსტანტინე გოგიშვილი იმ ამბავს ასე აღწერს:

იმას, რაც მინდორზე და მის ირგვლივ ხდება, ძნელად უწოდებ კაცი ფეხბურთს. ეს უფრო აბსურდის თეატრი იყო. მინდორზეც და ტრიბუნებზეც უფრო მასობრივ-ბატალური სცენები სჭარბობდა.

ასკაროლლის რამდენიმე რკინიგზელი ფეხბურთელი შემოეხვია და მუჯლუგუნების შემდეგ არბიტრს წიხლი ჩააზილეს დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ადამს ლეღვის ფოთოლი ეფარა. ასკაროლლი ერთხანს ნატკენ ადგილს იზელდა და ამის მერელა მოახერხა, რკინიგზელთა მე-15 ნომერ ლევან მიქაძისთვის წითელი ბარათი ეჩვენებინა.

ამასობაში მინდორზე შესვლას სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ცდილობს, მაგრამ ქართული პოლიცია, როგორც ყოველთვის, ავტორიტეტებს არ ცნობს. თემურ მახარაძე შეგირდებს ამაოდ მოუწოდებს სიმშვიდისკენ. ლევან მიქაძეს საბოლოოდ უმტყუნა ნერვებმა და ასკაროლლისკენ გამოექანა. ბეწვზე გაერიდა ფეხბურთელს არბიტრი, თორემ ბრიუს ლის სტილში შესრულებული ნახტომის შემდეგ მისგან მხოლოდ მოგონება დარჩებოდა.

ამ დროს „დინამოს" თავკაცი ოთარ კორღალიძე თავისთან იხმობს მიხეილ აშვეთიას და რაღაცას ეუბნება. მიქაძის გასახდელში გაყვანის შემდეგ აშვეთია პენალტს ურტყამს და... გატანილი ბურთის შემხედვარე თავში ხელებს წაიშენს. მეკარე დავით ასლანაძისა და აშვეთიას წალაპარაკებას მსაჯის სასტვენი წყვეტს. 1:1 — ანგარიში თანაბარია და „ლოკომოტივმა" ცენტრიდან უნდა დაიწყოს. ფეხბურთელებს აშკარა დაბნეულობა ეტყობათ, არავინ ულოცავს აშვეთიას, ერთადერთი რატი ალექსიძე ყვირის რაღაცას...

ძირითადი დრო დიდი ხანია, ამოწურულია. მუშაობს მხოლოდ მსაჯის წამზომი. ორიოდ წუთია დარჩენილი და მაინც, ეს დრო ყოფნის დინამოელი ალექსიძის გატანილ გოლს (ტრიბუნები დამუნჯდა) და ლოკომოტიველი ქებაძის აცილებულ პენალტს, რომლის დანიშვნისთვის ასკაროლლის უდავოდ მიენიჭება ნობელის პრემია გამომგონებლის დარგში.

დამთავრდა მატჩი, მაგრამ დაიწყო ყველაფერი.

დამთავრდა მატჩი, მაგრამ დაიწყო ყველაფერიო, წერს ჟურნალისტი. დიახ, ასეც იყო, მაგრამ იმ „ყველაფერში" ყველაფერი ძალიან უცნაურად წარიმართა.

კლუბების წარმომადგენლები და მატჩის არბიტრი სადისციპლინ-ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე დაიბარეს, რომელზეც გურამ ასკაროლლიმ თქვა ის, რაც არც მანამდე და არც მის მერე, არც ერთ ჩვენს მსაჯს არ უთქვამს:

— გინდათ, სიმართლე იცოდეთ? ინებეთ! თამაში ჩაწყობილი იყო. მატჩამდე ორი საათით ადრე ჩემთან მოვიდა „ლოკომოტივის" წარმომადგენელი და გადმომცა ფურცელი, რომელზეც გიორგი ბალაშვილის, ლევან მიქაძისა და მამუკა რუსიას გვარები ეწერა. მომიხოვა, ეს ფეხბურთელები არ გამეფრთხილებინა და ისიც მითხრა, რომ ყოველივე ფედერაციასთან იყო შეთანხმებული. როცა 85-ე წუთზე „დინამოს" კარში პენალტი დავნიშნე, ცხადად გავიგე აშვეთიასა და ასლანაძის დიალოგი და დავრწმუნდი, რომ თამაში ჩაწყობილი იყო. მეტსაც გეტყვით, ისიც გავიგე, მატჩის განახლების შემდეგ როგორ უთხრა ერთ-ერთმა დინამოელმა ქებაძეს, შემოდი საჯარიმოში და წაგაქცევო. აკი, წააქცია კიდეც. როცა ქებაძე პენალტს ურტყამდა, თანაგუნდელმა მიაძახა, არ გინდა, „სიონმა" მოუგო „არსენალსო". ამიტომ გააფუჭა ლოკომოტიველმა თერთმეტმეტრიანი. თამაში ჩაწყობილი იყო, ჩაწყობილი!

დაგვეთანხმებით, ნებისმიერ ქვეყანაში მსაჯის ამ სიტყვებს უმწვავესი რეაქცია მოჰყვებოდა და იტალიური კალჩოპოლი მონაგონი იქნებოდა, მაგრამ... სადისციპლინო კომიტეტის იმ სხდომის ანგარიშში ჩვენი ჟურნალისტი პაატა კვანტალიანი ასეთ რამეს გვეუბნება:

სიმართლე გითხრათ, ასკაროლლის ამ სიტყვებს სხდომის მიმდინარეობაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია — „ეს კაცი ისევ აბდაუბდად ლაპარაკობდა".



„ლოკომოტივი" — „დინამო" 1:2. ბურთით მიხეილ აშვეთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იტყვიან, უკომენტაროდ.

მკითხველს კი უჩნდება კითხვა: თუ მსაჯის ნათქვამი კომიტეტს „აბდაუბდად“ მოეჩვენა, აბა, რაზე გაიმართა მსჯელობა? რაზე და, 90 წუთი ათამაშა მსაჯმა გუნდები თუ ადრე დაამთავრა შეხვედრა...

და ისევ: უკომენტაროდ.

საბოლოოდ კი, მატჩის არბიტრი გურამ ასკაროღლი იმ დროისთვის უპრეცედენტო, 3-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს...

20 ნოემბრის „სარბიელში“ კი ჩვენი ჟურნალისტის კობა ინასარიძის ინტერვიუ დაიბეჭდა ფეხბურთის ფედერაციის იმდროინდელ გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან და ინტერვიუს თემაც, ცხადია, „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩს ეხებოდა...

— ბატონო ვალერი, „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩის არბიტრ გურამ ასკაროღლის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ნათქვამით დავიწყოთ. მან განაცხადა, რომ თამაშამდე მასთან „ლოკომოტივის“ წარმომადგენელი მივიდა, ჯიბეში წერილი ჩაუდო, ესა და ეს ფეხბურთელები არ გააფრთხილოო, უთხრა. თქვენ გჯერათ ასკაროღლის სიტყვები?

— დიახ. ასკაროღლი არ არის ის კაცი, ასეთი რამ მოიგონოს. თავისი ნათქვამის დასადასტურებლად მან კომიტეტის სხდომაზე ის ფურცელიც გვაჩვენა, რომელიც მას ჯიბეში ჩაუდეს.

— მე, მაგალითად, ისიც მჯერა, რომ ის უცნობი მართლაც „ლოკომოტივის“ წარმომადგენელი იყო. თქვენ?

— მეც მჯერა. უცხო ამას არ გააკეთებდა.

— მერე? არ არის ეს საკმარისი, რათა „ლოკომოტივი“ დაისაჯოს?

— ეს იმისთვისაა საკმარისი, რომ ასკაროღლი დაისაჯოს, მას ამ ამბისთანავე საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა ფედერაციის დელეგატი, ის ფურცელი კი ოქმისთვის დაერთო. აკი, დაისაჯა კიდეც.

— მის დასჯაზე მოგვიანებით გკითხავთ. ასკაროღლიმ ისიც განაცხადა, თითქოს უცნობმა უთხრა, მატჩი ჩაწყობილიაო. ბარათიც სწორედ ამიტომ ჩაუდო ჯიბეში, თანაც იმ კაცს დაუმატებია, ფედერაციაშიც იციან, მატჩი გარიგებული რომ არისო...

— ბარათი რომ ჯიბეში ჩაუდეს, ეს მჯერა, გარიგებისა — არა. არ შეიძლება, თამაში ჩაწყობილი იყოს და მსაჯმა მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე პენალტი დანიშნოს იმ გუნდის კარში, რომელმაც უნდა მოიგოს.

— იქნებ მსაჯმა მართლაც არ იცოდა, მატჩი რომ გარიგებული იყო?

— კარგით. მაშინ ვინ იცოდა?

— ვთქვათ, რამდენიმე ფეხბურთელმა...

— დღეს სწორედ იმ ბრძანებას მოვაწერე ხელი, რომლის თანახმადაც, შესაბამისმა კომისიამ უნდა გაარკვიოს, ჩაწყობილი იყო თუ არა „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩი.

— როგორ უნდა გაარკვიოს?

— დაელაპარაკებიან გუნდების წარმომადგენლებს, ფეხბურთელებს...

— მერე, ვინ იტყვის, მატჩი ჩაწყობილი იყოო?

— ვნახოთ. ვინ იცის, რას იტყვიან...

ფედერაციის შესაბამისი კომისია, ალბათ, დიდხანს ელაპარაკა გუნდების წარმომადგენლებს და ფეხბურთელებს, ოღონდ ჩვენთვის ამის თაობაზე არაფერია ცნობილი...

ერთი კვირის თავზე კი, 27 ნოემბერს კობა ინასარიძე ქარელში, შინ ესტუმრა გურამ ასკაროღლის და „სარბიელში“ ინტერვიუც დაიბეჭდა სათაურით: „ასკარა დაუჯერებელი“. ამ ინტერვიუში მსაჯი ერთხელაც იმეორებს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ნათქვამს...

— შემდეგ შევედი მსაჯთათვის განკუთვნილ ოთახში და ყველაფერი ვთქვი. ჩვენ ასეთი წესი გვაქვს, ერთმანეთს ყოველთვის ვეუბნებით იმას, რაც მატჩთან დაკავშირებულია.

— ალბათ, მაშინვე დაეჭვდებოდით, რომ მატჩი მართლაც ჩაწყობილი იყო...

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ცალ ყურში შევუშვი მათი ნათქვამი, მეორეში გავუშვი. მე გამოცდილი მსაჯი ვარ და ჩემს კარიერაში ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით სხვადასხვა გუნდების წარმომადგენლებს ასეთი რაღაცები გაუკეთებიათ.

— და პენალტის დარტყმის დროც დადგა. როგორც თქვით, სწორედ მაშინ...

— აშვეთია ბურთს მიუახლოვდა და მაშინ მივხვდი, მატჩი რომ ჩაწყობილი იყო. დინამოელი „ლოკომოტივის“ მეკარე ასლანაძეს ეუბნებოდა, ჩემი ყურით მოვისმინე, მარჯვენა კუთხეში დაგირტყამო, მეკარემ ჰკითხა, ჩემგან მარჯვნით თუ შენგანო, აშვეთიამ კი ხელით ანიშნა, საითაც აპირებდა დარტყმას. ბურთი ნელა გაგორდა, ასლანაძემ ველარ აილო. დინამოელმა თავში ხელები შემოირტყა. გეკითხებით, რა უნდა მეფიქრა?!

— თუ მიხვდით, რომ მატჩი გარიგებული იყო, რატომ დროზე ადრე არ ჩასტვინეთ, მატჩი რად განაგრძეთ?

— ეს, ვაღიარებ, ჩემი შეცდომაა. თამაში აღარ უნდა გამეგრძელებინა...

 აი, ასე დასრულდა „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ ის გახმაურებული სკანდალი. დასრულდა, პრაქტიკულად, უშედეგოდ: დისკვალიფიკაციები მსაჯს და ორ ფეხბურთელს, ხოლო რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, გამოუძიებელი დარჩა!

**გიორგი დარჯანია**

**ხვალინდელ «სარბიელში»:**

როგორ ამხილეს შვიდი წლის წინ რუსთავის „გორდა“ და ბოლნისის „სიონი“ მატჩის გარიგებაში

# თუ ფული გაქვს, შენი ვარ?

## სტანდარტული პასუხი: მატჩები, რა თქმა უნდა, ეწყობა, ოღონდ ჩვენ არ გვეხება!

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის საგანგებო სხდომის შედეგი ცნობილია — ფედერაცია და პროფლიგა დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ ქართულ ფეხბურთში. შესაძლო ჩაწყობილ-გარიგებულ მატჩებს და გარკვეული ინფორმაცია-მასალების გადამოწმების თხოვნით პროკურატურასაც მიმართეს. დღეიდან ჩამწყობ-გამრიგებელთა ამბების გამოძიებას სწორედ პროკურატურა იწყებს და...*

*ჩვენ ყველა უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ თუკი რამ წინასწარ გარიგებული მატჩი ყოფილა, პროკურატურა ყველაფერს გამოიძიებს და ფეირ პლეის პრინციპების დამრღვევთ, შესაბამისად უპასუხებს.*

*საგანგებო ალმასკომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დაარღვია და არც ერთი ისეთი მატჩი არ დაასახელა, რომლებმაც ბოლო დროს საფეხბურთო საქართველოში ჩაწყობილის სუნი დააყენა...*

*ფედერაციის პრეზიდენტმა და ალმასკომის არც ერთმა წევრმა არ გაამხილა იმ მატჩების ვინაობა, რომლებიც წინასწარ გარიგებულს ჰგავდა, თუმცა კი გუშინდელ „სარბიელში“ ჩვენ ვთქვით, რომ ასეთი თამაშები, შესაძლოა, „ბორჯომი“ — „ბათუმი“ და „ბორჯომი“ — „დილა“ ყოფილიყო. ამის თქმის საფუძველს კი საგაზეთო მიმოხილვები და ტელევიზორში ნანახი გვაძლევს...*

*გუშინ ჩვენ სწორედ ამ ორი მატჩის მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებს დავუკავშირდით და ალმასკომის მიერ პროკურატურისთვის საქმის გადაცემაზე კომენტარის გარდა ერთი-ორი სხვა კითხვითაც მივმართეთ...*

*თავდაპირველად „ბორჯომის“ გენერალურ დირექტორ* ***ვახტანგ მაისურაძეს*** *შევეხმიანეთ...*

— ალმასკომის წევრი არ ვარ და არც ვიცი, იმ სხდომაზე რა ილაპარაკეს.

**— ითქვა, რომ შესაძლო ჩაწყობილი თამაშების საქმე პროკურატურას გადაეცემა...**

— მერე „ბორჯომი“ რა შუაშია?!

**— საფეხბურთო წრეებში ამბობენ, რომ „ბორჯომი“ ჩაწყობილი მატჩების ერთ-ერთი მონაწილეა...**

— კონკრეტულად რომელ მატჩზე ამბობენ?

**— „ბათუმთან“ წინა ტურის მატჩზე...**


ვახტანგ მაისურაძე

ბადრი ქეთილაძის ფოტო

— ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავდა და ვერ გამიგია, წარმოუდგენელი რატომ იყო, შინ „ბათუმთან“ წაგვეგო?!

**— ეჭვი არის „ბორჯომი“ — „დილას“ სათასო მატჩზეც. ითქვა, თითქოს თასის მეოთხედფინალში გასვლის სანაცვლოდ „ბორჯომმა“ „დილას“ ჩემპიონატში სამი ქულა უნდა დაუთმოსო...**

— რა სისულელეა... აგერ, იქნება ჩემპიონატის მატჩი და ვინ ვის რას დაუთმობს, ყველა ნახავს.

**— როგორ ფიქრობთ, ქართულ ფეხბურთში ჩაწყობილი მატჩები არის?**

— ეს მე რომ არ გითხრათ, თქვენც ხომ კარგად იცით?!

*შემდეგ გორის „დილას“ ტექნიკურ დირექტორ* ***ზვიად შერმადინს*** *დავუკავშირდით...*

— „დილას“ რომ თამაშები ჩაწყობილი ჰქონდეს, ახლა უმაღლესი ლიგიდან გავარდნის კანდიდატი არ იქნებოდა — გვითხრა შერმადინმა — არც „ბორჯომთან“ გვქონდა წინასწარი მოლაპარაკება და არც სხვა გუნდთან. ვერ გამიგია, „დილას“ უმაღლესიდან გავარდნისგან „ბორჯომი“ გადაარჩენს?! ჩვენ თუ „დინამოსაც“ მოვუგებთ, „ზესტაფონსაც“ და სხვა იმ გუნდებსაც, რომლებთანაც დავგეგმა სათამაშო, მაშინ „ბორჯომის“ დამარცხებასაც შევძლებთ. არა მგონია, „ბორჯომი“ „დინამოზე“ და „ზესტაფონზე“ ძლიერი იყოს...

**— ალმასკომმა შესაძლო ჩაწყობილი მატჩების გამოძიება პროკურატურას გადასცა...**

— გორის „დილას“ ქართულ ფეხბურთში ჩახედული ხალხი კარგად იცნობს, ჩვენთან ჩაწყობა არ ხდება.

*დაბოლოს, „ბათუმის“ გუნდის უფროსი* ***მევლუდ ცინარიძე:***

— ალმასკომმა რომ საქმე პროკურატურას გადასცა, ეს „ბათუმს“ არ ეხება. ჩვენ და ჩაწყობილი თამაშები შორი-შორს ვართ. ეს, ვფიქრობ, შედარებით უფრო მდიდარი კლუბებისკენ გადადგმული ნაბიჯია... ახლა „ბათუმში“ ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა, რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ და, შესაძლოა, უკვე ყველა მატჩი მოვიგოთ.

**— „ბორჯომი“ — „ბათუმის“ მატჩზე ამბობენ, ჩაწყობილი იყოო...**

— ეს ყველაფერი მოგონილია.

**— ვისი მოგონილია?**

— იმ გუნდების, ვინც პირველობისთვის იბრძვიან. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი მოგონილია.

**— ჩემპიონობისთვის თუ სჭირდებათ გუნდებს ქულები, აუტსაიდერებს არ სჭირდებათ?**

— ჩვენ ფული არ გვაქვს და ლამაზი თვალებისთვის და ტკბილი სიტყვისთვის სამ-ქულას არავინ დაგითმობს.

**— თქვენ მომხრე ხართ, რომ შესაძლო ჩაწყობილი მატჩები პროკურატურამ გამოიძიოს?**

— დიახ, მაგრამ ამ ყველაფერს ფაქტები სჭირდება. მავანის სიტყვა კი ფაქტად ვერ ჩაითვლება...

*როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...*

**კობა ინასარიძე**

# ოთარ ხიზანეიშვილი შტურმის სამიზნეზეა



**ადრეც** ვწერდით, რომ „ფრაიბურგის“ გულშემატკივართა უმეტესობას ძალიან არ მოსწონს ოთარ ხიზანეიშვილის სათადარიგოობა. „ფრაის“ ფორუმზე მწვრთნელ რობინ დუტს მკაცრად აკრიტიკებენ, რომ იგი აფრიკელ ოლაიენგბეზს ათამაშებს დაცვის ცენტრში, ხოლო „ხიზას“ მინდორს არ აკარებს. სათადარიგოობაცაა და სათადარიგოობაც — „ფრაიბურგის“ ყველა დროის ყველაზე ძვირად შეძენილ ფეხბურთელს კი ამ სეზონში ოდენ 2 მატჩი ჩაუტარებია.

გერმანულ პრესაში კი გაჩნდა ინფორმაცია, რომ ხიზანეიშვილი ზაფხულში გრაცის „შტურმში“ გადავა, რომელსაც თურმე ამ ზამთარსაც სდომებია ჩვენიანის შეძენა.

ცნობისთვის: ოთარს სწორედ ზაფხულში უმთავრდება კონტრაქტი „ფრაისთან“.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ „შტურმის“ გიორგი შაშიაშვილმა გვითხრა, ჩემი გუნდი სამი ქართველითაა დაინტერესებული და დარწმუნებული ვარ, ერთს მაინც გადმოიყვანსო. გრაცელთა ერთ-ერთი ქართველი სამიზნე გიორგი მაკარიძეცაა, თუმც, სავარაუდოდ, 17 წლის მეკარე „ზესტაფონში“ გააგრძელებს კარიერას.

ალემანიურ პრესაში კი ხიზანეიშვილით ინლისური „სანდერლენდის“ დაინტერესებაზეც ეწერა, ოღონდ მინიშნებული იყო, რომ ეს ტრანსფერი გასაგები მიზეზის გამო ვერ შედგებოდა: ოთარი საქართველოს ნაკრებში თამაშების საკმარის პროცენტს ვერანაირად მოაგროვებს.

**ილია ნანოგაშვილი**

ალექსანდრე იაშვილი ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს თავის კარიერაში და, ვფიქრობთ, ამაში ყველა დაგვეთანხმება. იაშვილის წარმატებებმა რუსი ჟურნალისტების ყურამდეც მიაღწია და მათ ქართველ თავდამსხმელს ინტერვიუ სთხოვეს, რასაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ...



# ალექსანდრე იაშვილი: მეორეობა უნდა გადავჭრათ

**— როგორ დაგვიხასიათებთ „კარლსრუეს“?**

— ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში ვართ. ამ გუნდში გადმოსვლით კმაყოფილი ვარ.

**— მიმდინარე სეზონში საკუთარი თამაში გაკმაყოფილებთ?**

— თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ პირველი წრის ბოლოს ჩემი თამაში ვიპოვე. ახლა ხუთი საგოლე პასით გუნდში ასისტენტებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო ვარ. ცხადია, კარგი იქნებოდა, გოლებიც გამეტანა, მაგრამ საერთო ჯამში მაინც კმაყოფილი ვარ.

**— გულშემატკივრები იაშვილისგან უფრო შედეგიან თამაშს არიან მიჩვეულნი, რადგან „ფრაიბურგში“ ერთ-ერთი ბომბარდირი იყავით...**

— „კარლსრუეში“, ფაქტობრივად, მარცხენა ნახევარმცველად მიწევს თამაში და, უპირველეს ყოვლისა, საგოლე მომენტები სხვებს უნდა შევუქმნა, რაც ჯერჯერობით არცთუ ცუდად გამომდის. რაც შეეხება გოლებს, იმედი მაქვს, მომავალ თამაშებში თავს კიდევ გამოვიჩენ.

**— ზოგი გუნდის საშინაო არენაზე, იქ მოთამაშე ლეგიონერების პატივისაცემად, მათ ეროვნულ მუსიკას უკრავენ. თქვენ რომელი მელოდიის მოსმენას ისურვებდით?**

— კარლსრუეში მსგავსი რამ არ ხდება. რა თქმა უნდა, ქართული მუსიკის მოსმენაზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ...

**— ფრაიბურგი არ გენატრებათ? რაც უნდა იყოს, იქ ათი წელი გაატარეთ...**

— ფრაიბურგში მართლაც ბევრი რამ იყო დასამახსოვრებელი, მაგრამ ატმოსფეროს შეცვლა მომიხდა. მსურდა, რაღაც ახალი მეცადა და მოხარული ვარ, რომ ეს გამომივიდა.

**— ფრაიბურგი ქართველი ფეხბურთელებისთვის წარმატებული ქალაქი იყო. ის ქართულ ქალაქს ხომ არ ჰგავს?**

— „ფრაიბურგში“ არა მხოლოდ მე ვთამაშობდი კარგად, არამედ ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილიც. შესაძლოა, ჩვენი სათამაშო სტილი იქაურ გუნდს კარგად მოერგო. თუმცა, ვერ გეტყვით, რომ ფრაიბურგი საქართველოს ჰგავს...

**— „ფრაიბურგში“ თამაშისას გულშემატკივართა კერპი იყავით. ამ მხრივ, კარლსრუეში როგორ არის საქმე?**

— „კარლსრუეს“ გულშემატკივრები კარგად მეპყრობიან. საერთოდ, მათი ნდობა და სიყვარული უნდა დაიმსახურო. ამიტომ, რაც უფრო კარგად ვთამაშობ, ქომაგების სიმპათიას უფრო მეტად ვგრძნობ.

**— რამდენიმე სიტყვა საქართველოს ნაკრებზეც...**

— ბოლო ხანს საქართველოს ნაკრებში არ მითამაშია — მწვრთნელი არ მიძახებდა.

**— საქართველოს ეროვნული გუნდი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებით თამაშს შეძლებს?**

— ჩვენი ჯგუფის უპირობო ფავორიტი იტალიაა. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს მეორე ადგილისთვის ბრძოლა შეუძლია და ეს გადაუჭრელი ამოცანა ნამდვილად არ არის.

# მე მხოლოდ შემსრულებელი ვარ



თბილისის „ამერიდან“ ზაქათალის „სიმურგში“ განათხოვრებულმა დავით ბოლქვაძემ აზერბაიჯანელი ჟურნალისტების ყურადღება უმალ მიიქცია. ქართველ ნახევარმცველს იქაური „აზერისპორტი“ გაესაუბრა და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ...

— ჩემპიონატის მეორე წრეში, ხშირ შემთხვევაში, „სიმურგს“ მატჩის დასაწყისში ორი გოლი გააქვს და შემდეგ ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაშობს. იმის გამო ხომ არ ხდება, რომ გუნდი ფიზიკურად სათანადოდ არ არის მომზადებული?

— ამას ხომ შედეგი მოაქვს და რატომ არ უნდა ვითამაშოთ ასეთ სტილში?! ფიზიკური მომზადების მხრივ პრობლემა არ გვაქვს.

— მომავალში შეხვედრები ჩემპიონატის ლიდერებთან მოგიწევთ. შესაძლოა, ძლიერი გუნდების წინააღმდეგ, ასეთმა სათამაშო სტილმა, პირიქით, ცუდი სამსახური გაგიწიოთ...

— ჩვენ კარგი გუნდი გვყავს, ამასთანავე, ჩემპიონატის ლიდერებთან მატჩებს საკუთარ მოედანზე ჩავატარებთ და მეტოქეები ჩვენი გულშემატკივრების თვალწინ უნდა დავამარცხოთ. შინაური კედლები დაგვეხმარება...

— ისევე, როგორც, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ იდეალური მინდვრის საფარი, რომელიც ზაქათალაშია...

— ცუდი მინდორი, არა მხოლოდ მეტოქეებისთვის, არამედ ჩვენთვისაც ცუდია.

— გუნდის ხელმძღვანელობა ინტერტოტოს თასზე მოხვედრას გთხოვთ?

— ასე გიპასუხებთ: ჩვენ ყველა მეტოქე უნდა დავამარცხოთ.

— ჩანს, რომ ბოლო კვირების განმავლობაში საუცხოო სათამაშო ფორმაში შეხვედით...

— რაც შემიძლია, ვცდილობ. მოედანზე ყოველთვის საბრძოლო განწყობით გავდივარ.

— არცთუ ცოტა გოლი გაგაქვთ. ბომბარდირული თვისებებით ყოველთვის გამოირჩეოდით?

— „სიმურგში“ თამაშისას თითქმის ყველა გოლი პენალტით გავიტანე. ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. თერთმეტმეტრიანებს ჩემი პარტნიორები მოიპოვებენ, ხოლო მე მათ რეალიზებას ვახდენ. ერთი სიტყვით, მხოლოდ შემსრულებელი ვარ.


## თქვენი ინტერვიუ ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. ჰკითხეთ თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com






# მენთეშაშვილს მწვრთნელი ერიდება




ლატვიური „ვენტსპილსი" მეორე თურქულ შეკრებას გადის და გუნდის ქართველ ნახევარმცველ ზურაბ მენთეშაშვილს ჯერ არც ერთ საკონტროლო მატჩში არ უთამაშია.

„ვენტსპილსი" ამხანაგურად ლიპეცკის „მეტალურგს" გაეჯიბრა და 0:1 დამარცხდა. მენთეშაშვილმა სარეაბილიტაციო კურსი კი დაასრულა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს, თუმცა მწვრთნელი რომან გრიგორჩუკი მის დატვირთვას ჯერაც ერიდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვლადიმერ დვალიშვილი: გოლიანი ძირითადი

„ბალტიის თასის" გათამაშების მეორე ტურში ქართული გოლიც გავიდა — რიგის „სკონტომ" შინ ლიტვურ „სუდუვას" უმასპინძლა, 3:0 მოუგო და მეორე გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა.

დვალიშვილი და დავით გამეზარდაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. თუ გამეზარდაშვილისგან ეს არ გვიკვირს, დვალიშვილის სასტარტოში დაყენება კი ცოტა მოულოდნელი იყო — ჩვენებურმა სათადარიგოთა სკამზე მარიან პახარსი და გატის კალნინშსი დატოვა.

„სკონტომ" მეორე მატჩი მოიგო და სამგუნდა ჯგუფს 6 ქულით ლიდერობს. მეორე ადგილზე 3-ქულიანი „სუდუვაა", მესამეზე — უქულო ესტონური „ლევადია".

„სკონტოს" გარდა „ბალტიის თასზე" კიდევ ორი „ქართული" გუნდი გამოდის: ასევე ლატვიური „ვენტსპილსი", სადაც ზურაბ მენთეშაშვილი ირიცხება და ლიტვური „კაუნასი", რომელიც ყველაზე „ქართულია" — გივი კვარაცხელია, ნუკრი მანჩხავა და აკაკი ხუბუტია ჰყავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ხორგუაშვილის პატარა გოლი

მოლდოვის ჩემპიონატის პირველ ლიგაში „შერიფი 2" ისე ველარ ყოჩაღობს, როგორც ძირითადი გუნდი უმაღლეს ლიგაში. თუმცა ყოჩაღობა პირობითად არის ნათქვამი, რადგან შერიფელები მეორე ადგილზე არიან და ოდენ სამი ქულით ჩამორჩებიან „ბეშიქთაშს".

ბოლო, მე-19 ტურში კი „შერიფი 2"-მა სტუმრად 2:0 მოუგო „გაგაუზიას" და ერთი ბურთი პაველ ხორგუაშვილმა გაიტანა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა — II წრე. 18 ტური

### აღმოსავლეთი

**მეშაქრე 0:0 ვიტ ჯორჯია 2**

**მეშაქრე:** პ. ოთარაშვილი, გვარუციძე, დონდოლაძე, ლ. ტყებუჩავა, ახობაძე, გ. ლაცაბიძე, ლ. კვარაცხელია (კავთელაძე 84), მ. ლობჟანიძე (ბ. გოცირიძე 70), ფაილოძე (ლ. მანწკავა 52), ლ. კობახიძე, ებანოიძე

*სათადარიგონი: აბრამიშვილი, გაგნიძე, გ. თარგამაძე, მესხიძე*

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

**ვიტ ჯორჯია 2:** მიქაბერიძე, ვეკუა, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური, ინჯგია, ვასაძე, კვალინიძე, გ. ჯანელიძე (სორდია 89), ბ. ცხადაძე (ჯიქიძე 80), ბერიაშვილი (როსტიაშვილი 78)

*სათადარიგონი: ღურბელეიშვილი, დვალაშვილი, ლანიაშვილი*

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: ლ. ტყებუჩავა, კვალინიძე, კაიშაური, ადამაძე, ლაცაბიძე, ინჯგია.

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

200 მაყურებელი

**ამერი 2 1:2 ჩიხურა**

0:1, 0:2 მიქაძე (48, 75), 1:2 გრძელიძე (83)

**ამერი 2:** ქვაჩახია, კეკელია (თ. სანიკიძე 46), გვაძაბია (ნ. ქებაძე 60), ხატიაშვილი, დ. მჭედლიშვილი, მესხი, ა. ალავიძე, დ. სიჭინავა, ხუციძე, სილაგავა, ჩიმაკაძე (გრძელიძე 58)

*სათადარიგონი: გვენცაძე, ფუტკარაძე, ბოჯგუა, ხარაძე*

მწვრთნელი: დავით მახარაძე

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ზივზივაძე, ბარაბაძე, ხურცილავა, ვ. ზაბახიძე, დოლონაძე, მ. მიქაძე, ბ. პეტრიაშვილი (ცნუქიძე 80), როგავა (მაჭარაშვილი 86), ზ. ნოზაძე, ჭილაძე (ი. ზაბახიძე 70)

*სათადარიგონი: ბეგაშვილი, ხვედელიძე, ლ. ჩიკვაიძე, მ. ნადირაძე*

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: მესხი, გვაძაბია, მჭედლიშვილი

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

50 მაყურებელი

**ოლიმპი 2 0:0 დინამო 2**

**ოლიმპი 2:** გიორგობიანი (კალანდაძე 19), სარაჯიშვილი, გ. ოდიშარია, პაჭკორია, ჩიხრაძე, გურეშიძე, ზვიადაძე, ჯაში (სულუხია 73), გუგუჩია, სებისკვერაძე (მახარაშვილი 89), ტორონჯაძე

*სათადარიგონი: ჭაფოძე, ზედგენიძე, გავაშელიშვილი, გ. რეხვიაშვილი*

მწვრთნელი: გელა გომელაური

**დინამო 2:** ლოსაბერიძე, კაჭკაჭიშვილი, ჩადუნელი, მინდორაშვილი, გ. ოთარაშვილი (ა. ტეტუნაშვილი 46), ნემსაძე, მამუჩიშვილი, გ. ჩიკვაიძე (გ. ჯოხაძე 71), ჯიშკარიანი, ჭადაშვილი (კოპაძე 58), სიხარულიძე

*სათადარიგონი: მაკარიძე, გეთიაშვილი, წენგუაშვილი, ი. ხვადაგიანი*

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: სიხარულიძე, ზვიადაძე, კაჭკაჭიშვილი

მსაჯი: ლ. სილაგავა

200 მაყურებელი

**ნ. დინ-მერანი 2 1:1 ოლიმპიკი**

1:0 ქავთარაძე (37), 1:1 შონია (51)

**ნ. დინ-მერანი 2:** დგებუაძე, ტოსტიაშვილი, დაბრუნდაშვილი, ჯორჯიკია, ხუჭუა, გავაშელი, კაკულია (გურჩიანი 69), ქავთარაძე, ჩიტალაძე (აფრიდონიძე 83), ა. შენგელია (ბურჭულაძე 85), ხვთისავრიშვილი

*სათადარიგო: ქემუხტაშვილი*

მწვრთნელი: ოთარ შენგელია

**ოლიმპიკი:** კეკელიძე, ბებუა, გ. ალავიძე, გოგიაშვილი, ნ. მაისურაძე (როსტომაშვილი 42), ქამუშაძე, გ. იაშვილი, აბრალავა, გ. ოქრუაშვილი (ჯინჭარაძე 71), თ. შონია, ლაბარტყავა (ღვინიაშვილი 46)

*სათადარიგონი: სანოძე, დაუთაშვილი*

მწვრთნელი: ლევან მელიქია

გაფრთხილება: ჯორჯიკია, ქამუშაძე, გურჩიანი

მსაჯი: ზ. ასკაროღლი

50 მაყურებელი

**გაგრა 1:2 კახეთი**

0:1 ბიძინაშვილი (32), 1:1 კევლიშვილი (82ს.კ.), 1:2 ბურდული (90)

**გაგრა:** ხომერიკი, ქაჯაია, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, ბ. ყიფიანი, ცხადაია (ბ. ტეტუნაშვილი 61), ჩარგეიშვილი, შარიქაძე (ა. აბაშიძე 46), გ. აფციაური, ე. ფილია (კორიფაძე 54), ზ. ძაგანია

*სათადარიგონი: ბათიაშვილი, თ. მეტრეველი, სუხიშვილი, ზ. დათუნაშვილი*

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

**კახეთი:** მარგოშვილი, ჩუთლაშვილი, შ. ლობჟანიძე, გ. ლომიძე, მურველაშვილი, ბედოიძე, კუპრაშვილი, გ. კევლიშვილი, ბიძინაშვილი (დ. ბურდული 87), ძამუკაშვილი (რ. ტეტიაშვილი 72), ლ. ტეტიაშვილი (ტარულაშვილი 90)

*სათადარიგონი: გ. ოთარაშვილი, ახალბედაშვილი, მ. ხიდაშელი, მაჩაიძე*

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: კევლიშვილი, ლ. ტეტიაშვილი

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 18 | 10 | 5 | 3 | 38:28 | 35 |
| დინამო 2 | 18 | 10 | 5 | 3 | 28:14 | 35 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 18 | 8 | 5 | 5 | 26:15 | 29 |
| მეშაქრე | 17 | 8 | 5 | 4 | 25:17 | 29 |
| ჩიხურა | 18 | 8 | 5 | 5 | 28:24 | 29 |
| ოლიმპი 2 | 18 | 7 | 5 | 6 | 25:19 | 26 |
| კახეთი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:28 | 25 |
| ამერი 2 | 17 | 6 | 2 | 9 | 28:31 | 20 |
| ოლიმპიკი | 18 | 3 | 4 | 11 | 23:38 | 13 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 18 | 0 | 4 | 14 | 17:53 | 4 |

**XIX ტური**

23 მარტი, კვირა

მეშაქრე – ნ.დინ-მერანი 2

ამერი 2 – კახეთი

24 მარტი, ორშაბათი

ოლიმპი 2 – ჩიხურა

ოლიმპიკი – დინამო 2

გაგრა – ვიტ ჯორჯია 2

**გადადებული მატჩი**

27 მარტი, ხუთშაბათი

მეშაქრე – ამერი 2

### დასავლეთი

**ტორპედო 0:1 ზესტაფონი 2**

0:1 გავაშელაშვილი (16)

**ტორპედო:** დ. მემარნიშვილი, ი. დარსაძე (მეტონიძე 46), ვ. ვაჩიბერაძე, გაბუნია, ჭანკვეტაძე, ლ. კირკიტაძე, გოდერიძე, კილაძე (გოგიბერაშვილი 46), ბ. ჩხეტიანი, თვალავაძე (ქათამაძე 70), კეჭეყმაძე

*სათადარიგონი: დ. ოდიშარია, დათიაშვილი, ლ. ჯოხაძე, ლურსმანაშვილი*

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

**ზესტაფონი 2:** ჯალაღონია, სურმავა, შარანგია, ხუმარაშვილი, გელაჭეიშვილი, საცერაძე, ბერუაშვილი (ბუკია 63), გორგიაშვილი (ბერძენაძე 84), გაბრიჭიძე, დ. ჯანელიძე

*სათადარიგონი: ბოჭორიშვილი, ნებიერიძე, ჟონატასი, ნ. კვასხვაძე, სოფრომაძე*

მწვრთნელი: მალხაზ ღონღაძე

გაფრთხილება: გაბუნია, ჭანკვეტაძე, საცერაძე, ბერძენაძე

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

**ხობი 3:1 სამტრედია**

1:0 ღლონტი (21), 1:1 გუბელაძე (38), 2:1 გ. გოგენია (45), 3:1 კუტალია (513)

**ხობი:** ხარძეიშვილი, გ. გოგენია, დ. ჭითანავა, ფარფალია, ა. კვირკველია, გოგუა, სამსეიშვილი, ი. კუტალია, კ. გოგენია (ლეფსაია 46), ღლონტი (წულაია 79), ბ. გვეტაძე

*სათადარიგონი: ლ. ჭითანავა, ალანია, ჯამბურია, ფირცხალავა, მ. შონია*

მწვრთნელი: ლევან ნოდია

**სამტრედია:** თ. კაკალაძე (ხურციძე 46), თელია, კვესეიშვილი, რუხაძე (ბოხუა 71), გუბელაძე, ქობალია, ჩომახიძე, დ. ჭინჭარაძე, ეცადეიშვილი (ზ. რაზმაძე 69), კრავეიშვილი, ბაკარანძე

*სათადარიგონი: ა. ივეჩიანი, თვალაბეიშვილი, მამულაშვილი, ნინუა*

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

გაფრთხილება: ჯინჭარაძე, კვირკველია

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

500 მაყურებელი

**მეშახტე 1:2 მაღაროელი**

1:0 გოგბერაშვილი (17), 1:1, 1:2 მდივნიშვილი (18, 78)

**მეშახტე:** მერკვილიშვილი, დონაძე, მ. ბოჭორიშვილი, ყურაშვილი, ჯიშიაშვილი, მაჩალაძე, ხაჩიძე, ჩუბინიძე, გ. კირკიტაძე (დ. ცქიფურიშვილი 80), გოგბერაშვილი, ავალიშვილი

*სათადარიგონი: თ. გიორგაძე, წერეთელი, თევზაძე, მერკვილაძე*

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

**მაღაროელი:** მამარდაშვილი, ბიბილაშვილი, შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ი. ტყებუჩავა, ჩხარტიშვილი, გამცემლიძე, მდივნიშვილი, სეფერთელაძე, სევასტოპულო (ტყემალაძე 66), ხაჭიპერაძე

*სათადარიგონი: დოლაძე, მ. სამხარაძე, მგელაძე, ჯაჯანიძე, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე*

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

გაფრთხილება: გოგბერაშვილი, ტყებუჩავა

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

100 მაყურებელი

**ფაზისი 0:3 უნივერსიტეტი**

*„ფაზისს" ჩაეთვალა წაგება*

**მარტვილი — კოლხეთი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 18 | 16 | 2 | 0 | 41:12 | 50 |
| ზესტაფონი 2 | 17 | 9 | 2 | 6 | 27:16 | 29 |
| მარტვილი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:16 | 28 |
| მეშახტე | 17 | 9 | 0 | 8 | 29:29 | 27 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 5 | 5 | 23:19 | 26 |
| ტორპედო | 18 | 7 | 4 | 7 | 27:25 | 25 |
| ხობი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:23 | 23 |
| უნივერსიტეტი | 17 | 6 | 3 | 8 | 16:17 | 21 |
| სამტრედია | 17 | 2 | 3 | 12 | 17:40 | 9 |
| ფაზისი | 18 | 2 | 2 | 14 | 17:46 | 8 |

*„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან*

**გადადებული მატჩები**

20 მარტი, ხუთშაბათი

ზესტაფონი 2 – სამტრედია

მეშახტე – უნივერსიტეტი

მარტვილი – კოლხეთი

**XIX ტური**

24 მარტი, ორშაბათი

მეშახტე – ხობი

ტორპედო – მაღაროელი

მარტვილი – უნივერსიტეტი

სამტრედია – კოლხეთი

ფაზისი – ზესტაფონი 2

# საქართველოს ჩემპიონატი მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა
**მე-15 ტური**

კახეთი 2 1:1 სამგორი

დურუჯი 3:1 ოლიმპი 3

გარეჯი 0:1 ჰერეთი

მაუდი 0:11 ქიზიყი

ბახტრიონი 0:2 ალაზანი

ზოოვეტი 1:2 სიონი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქიზიყი | 15 | 11 | 2 | 2 | 57:13 | 35 |
| ჰერეთი | 15 | 10 | 4 | 1 | 34:8 | 34 |
| ალგეთი | 14 | 10 | 3 | 1 | 31:13 | 33 |
| ზოოვეტი | 15 | 10 | 1 | 4 | 34:12 | 31 |
| სიონი 2 | 15 | 9 | 3 | 3 | 37:14 | 30 |
| სამგორი | 15 | 6 | 4 | 5 | 26:19 | 22 |
| ალაზანი | 14 | 6 | 1 | 7 | 21:20 | 19 |
| გარეჯი | 15 | 5 | 4 | 6 | 26:18 | 19 |
| ოლიმპი 3 | 15 | 4 | 4 | 7 | 22:32 | 16 |
| დურუჯი | 15 | 5 | 0 | 10 | 19:34 | 15 |
| კახეთი 2 | 15 | 2 | 4 | 9 | 15:34 | 10 |
| მაუდი | 14 | 2 | 1 | 11 | 13:48 | 7 |
| ბახტრიონი | 15 | 0 | 1 | 14 | 7:77 | 1 |

### ცენტრალური ზონა
**მე-15 ტური**

აწყური 1:2 სპარტაკი

ლიახვი 2:5 ნორჩი დინამო

დუშეთი 0:0 სპარტაკი 2

გაგრა 2 0:1 ამერი 3

მერანი 2 0:1 ორბები

ლოკომოტივი 2 5:1 35-ე სკოლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორჩი დინამო | 15 | 13 | 1 | 1 | 46:12 | 40 |
| ორბები | 15 | 13 | 0 | 2 | 34:10 | 39 |
| სპარტაკი 2 (ცხ) | 15 | 10 | 1 | 4 | 30:19 | 31 |
| ლოკომოტივი 2 | 15 | 7 | 3 | 5 | 26:22 | 24 |
| 35-ე სკოლა | 15 | 7 | 2 | 6 | 32:29 | 23 |
| ამერი 3 | 14 | 6 | 5 | 3 | 14:8 | 23 |
| სპარტაკი (თბ) | 15 | 6 | 2 | 7 | 20:19 | 20 |
| გაგრა 2 | 15 | 4 | 3 | 8 | 18:22 | 15 |
| მერანი 2 | 15 | 4 | 3 | 8 | 20:32 | 15 |
| ბორჯომი 2 | 14 | 4 | 2 | 8 | 15:29 | 14 |
| დუშეთი | 15 | 3 | 3 | 9 | 16:32 | 12 |
| ლიახვი | 15 | 3 | 1 | 11 | 16:39 | 10 |
| აწყური | 14 | 2 | 0 | 12 | 14:34 | 6 |

### დასავლეთი ზონა
**მე-13 ტური**

ბაია 2:0 გაგრა 3

სქური 0:0 გურია

მერცხალი 1:2 ბათუმი 2

მარტვილი 2 1:1 იბერია XXI

მაღაროელი 2 3:1 იმერეთი

მარგვეთი 2:2 ტორპედო 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 13 | 10 | 2 | 1 | 28:10 | 32 |
| გურია | 13 | 8 | 4 | 1 | 21:10 | 30 |
| მარტვილი 2 | 13 | 7 | 3 | 3 | 27:16 | 24 |
| იბერია XXI | 13 | 6 | 2 | 5 | 16:18 | 20 |
| სქური | 13 | 5 | 3 | 5 | 22:16 | 18 |
| გაგრა 3 | 13 | 5 | 3 | 5 | 17:16 | 18 |
| მაღაროელი 2 | 13 | 4 | 3 | 6 | 12:16 | 15 |
| ბათუმი 2 | 13 | 4 | 1 | 8 | 12:26 | 13 |
| მარგვეთი | 13 | 3 | 4 | 6 | 21:27 | 13 |
| იმერეთი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:20 | 12 |
| ტორპედო 2 | 13 | 2 | 6 | 5 | 10:16 | 12 |
| მერცხალი | 13 | 2 | 4 | 7 | 9:19 | 10 |

# კარლ ცაისი მეოთხემ გააჩერა

## გერმანია

### თასის ნახევარფინალი

**დორტმუნდი 3:0 კარლ ცაისი**

1:0 ტინგა (13), 2:0 კლიმოვიჩი (70), 3:0 პეტრიჩი (87)

**დორტმუნდი:** ციგლერი, რუკავინა, ამედიკი, ვიორნსი, დედე, კელი, ტინგა (ჰუმელსი 79), ბაკლი (კრინგე 69), ფედერიკო, ფრაი (კლიმოვიჩი 69), პეტრიჩი

მწვრთნელი: თომას დოლი

**კარლ ცაისი:** ხომუტოვსკი, მაული, მიულერი, ომოდიაგბე, ვერნერი, ციგნერი, ჰანსენი, შტიგმაიერი, შიმაკი, პეტერსენი (საკა 84), შიდი (ამრჰაინი 73)

მწვრთნელი: ჰენინგ ბიურგერი

გაფრთხილება: ბაკლი, ომოდიაგბე, ტინგა, შიმაკი

გაძევება: შიმაკი (51)

მსაჯი: გრეფე

80 708 მაყურებელი



დორტმუნდელები ფინალში არიან

„დორტმუნდმა" მეორე ბუნდესლიგის ბოლოადგილოსანი „კარლ ცაისი" იოლად დაამარცხა და 1989 წლის შემდეგ ფინალში პირველად გავიდა.

იენურმა კლუბმა ნახევარფინალამდე სამი ბუნდესლიგელი გააძევა, მაგრამ მეოთხედ ფოკუსი აღარ გამოუვიდა. „კარლ ცაისმა" გზიდან „არმინია", „ნიურნბერგი" და ჩემპიონი „შტუტგარტი" ჩამოიშორა. სამივე მატჩში თავიდან აგებდა, თუმცა სათავისოდ შემობრუნება მოახერხა.

დორტმუნდშიც მასპინძლები მეცამეტე წუთზე დაწინაურდნენ. მლადენ პეტრიჩის თავური დარტყმა ვასილ ხომუტოვსკიმ მოიგერია, დამატებაზე კი ტინგამ იყოჩაღა და გაიტანა.

„შავ-ყვითლები" მეტოქეს აშკარად სჯობნიდნენ და „კარლ ცაისს" გაუმართლა, რომ პირველ ტაიმში მეტი არ გაუშვა.

შესვენების შემდეგ თერთმეტ წუთში იენელები კაცნაკლულნი დარჩნენ. გუნდის მთავარი ნახევარმცველი, ჩეხი იან შიმაკი მსაჯმა კამათისთვის აგაძევა.

„დორტმუნდის" მწვრთნელმა თომას დოლმა 69-ე წუთზე დიეგო კლიმოვიჩი და ფლორიან კრინგე შეუშვა. შესვლიდან ორ წუთში კლიმოვიჩმა, ისევე, როგორც ტინგამ, მეკარის მოგერიებულს დაამატა და სხვაობა ორამდე გაზარდა, ბოლოს კი მლადენ პეტრიჩმა მესამე შეაგდო.

„ბუნდესლიგაში ცუდი სეზონი გვაქვს, მეცამეტე ადგილზე ვართ, მაგრამ ქომაგები თასის ფინალში გასვლით მაინც გავახარეთ" — თქვა გამარჯვებულთა თავკაცმა თომას დოლმა, ხოლო „კარლ ცაისის" მწვრთნელმა ჰენინგ ბიურგერმა განაცხადა: „იან შიმაკი თავის საქციელს ნანობს, მაგრამ ახლა გვიანია. ცუდია, რომ ფეხბურთელის გაძევების გამო უშანსოდ წავაგეთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჭორი ჩვენი მეგობარია

**მსოფლიოს ჩემპიონი და „ბაიერნის" ყოფილი მეგოლე პაულ ბრაიტნერი 2007 წლიდან მიუნხენური კლუბის სკაუტთა შეფია. „დოიჩე ველესთან" ინტერვიუში მან გუნდში დღეს არსებულ ვითარებასა და მომავალზე ისაუბრა**



**— ამ სეზონით „ბაიერნის" შეფები ალბათ კმაყოფილები არიან...**

— რა თქმა უნდა, უკმაყოფილების მიზეზი არ გვაქვს. უეფას თასის მეოთხედფინალში გავედით და ჩემპიონატშიც ვლიდერობთ.

**— მიუხედავად ამისა, ამბობენ, რომ გუნდის სამზარეულოში ყველაფერი რიგზე არაა...**

— ესაა თითიდან გამოწოვილი ჭორები. ფეხბურთელებს ერთმანეთთან პრობლემები არ აქვთ და კლუბის დირექტორებიც შეხმატკბილებულნი მუშაობენ. „ბაიერნი" ძალიან პოპულარულია და როცა სამი-ოთხი თვის განმავლობაში სიწყნარეა, მედია ნაირ-ნაირ ჭორებს იგონებს. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ასეთ არარსებულ ამბებთან ერთად ცხოვრებას.

**— „ბაიერნში" ესპანური ენა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ ენაზე საუბრობს მომავალი მწვრთნელის (იურგენ კლინსმანის) თანაშემწე მარტინ ვასკესი, ესპანური იცით თქვენც, იურგენ კლინსმანმაც და რამდენიმე ფეხბურთელმაც...**

— ის დრო წავიდა, როცა გუნდში ურთიერთობისთვის მხოლოდ გერმანული საკმარისი იყო. ჩვენი ფეხბურთელები საუბრობენ ესპანურად, ინგლისურად, ფრანგულად, იტალიურად და პორტუგალიურად, მაგრამ გერმანულის შემდეგ მეორე ენა ინგლისურია, რადგან მოთამაშეთა 80-მა პროცენტმა იცის.

**— ბოლო წლებში „ბაიერნში" ლეგიონერები მომრავლდნენ და გერმანელებმა იკლეს...**

— მსოფლიოს არცერთი დიდი კლუბი ადგილობრივი ფეხბურთელების ამარა აღარაა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ლონდონის „არსენალი". „მილანთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში „არსენალის" 11 ფეხბურელიდან ერთიც არ იყო ინგლისელი. ეს სრულიად ბუნებრივია და ხელს არ უშლის „მეთოფეებს", ისეთივე ინგლისურ კლუბად ითვლებოდეს, როგორც „ჩელსი" ან „ლივერპული".

**— როგორია „ბაიერნის" სატრანსფერო პოლიტიკა?**

— ჩვენ არა მხოლოდ 27-28 წლის გამოცდილი ფეხბურთელების ყიდვა გვსურს, არამედ ახალგაზრდების აღზრდა-განვითარებასაც ვაპირებთ. ამიტომაც შევიძინეთ სოსა და ბრენო. ისინი მომავლის გუნდის მოთამაშეები იქნებიან.

**— არის თუ არა თქვენთვის ამ მხრივ მისაღები „არსენალის" პოლიტიკა, რომლის ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 26 წელია?**

— არა. „არსენალს" 10-15 პატარა ფეხბურთელის ყიდვა შეუძლია, ჩვენ კი საამისოდ თანხები არ გვეყოფა. ამიტომ „ბაიერნი" თავისი გზით მიდის.

**— როგორ შეიცვლება ვითარება გუნდში იურგენ კლინსმანის მოსვლის შემდეგ?**

— ვფიქრობ, რომ დიდი ცვლილებები არ მოხდება. შარშან უკვე რვა მოთამაშე ვიყიდეთ, მათ შორის რიბერი, კლოზე, ზე რობერტუ და ტონი. ამ ზაფხულს ალბათ ორსამს დავიმატებთ. სხვას ვერაფერს ვიტყვით, რადგან ჯერჯერობით მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდია. ისე კი, დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნი" მალე მსოფლიოს სამ საუკეთესო კლუბში შევა.

## კოჭმა ვანი დაასრულა

„რეალის" ფორვარდ რუუდ ვან ნისტელროის გუშინ მარჯვენა ფეხის კოჭზე ოპერაცია გაუკეთეს და ამ სეზონში ველარ ითამაშებს. პრიმერადივიზიონის წინა სეზონის მთავარმეგოლე თვეზე მეტია, მოედანზე არ გასულა, მაგრამ ახლაღა გაირკვა, რომ საოპერაციოა. ვან ნისტელროოიმ ამ სეზონში 12 გოლი შეაგდო, 20 იანვრის შემდეგ კი აღარ გაუტანია. „რეალის" ბომბარდირი ამჟამად რაულია (13). შეგახსენებთ, რომ მადრიდელები „ბარსელონას" შვიდი ქულით უსწრებენ.

## მილანში ნაყინისთვის

„არსენალის" ნახევარმცველ ალექსანდრ გლებს „ინტერთან" ფარულ მოლაპარაკებაში ადანაშაულებენ. ბრიტანული მედიის ცნობით, „მილანი" — „არსენალის" მატჩის წინა საღამოს ბელარუსი ფეხბურთელი აგენტთან (კლაუდიო ვიგორელი) ერთად სასტუმროდან გასულა და „ინტერის" შეფებს შეხვედრია. „მართალია, რომ გლები და ვიგორელი სასტუმროდან ერთად გავიდნენ, მაგრამ არავის შეხვედრიან — თქვა „გარდიანთან" აგენტის მეგობარმა და ასევე აგენტმა ვინჩენცო მორაბიტომ — თითო ნაყინი მიირთვეს და რამდენიმე მაღაზიანი შეიარეს. სამწუხაროა, თუ არსენ ვენგერი ფიქრობს, რომ გლები „ინტერს" ევაჭრებოდა".

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

### ჩემპიონატი
### გადადებული მატჩები

**კოლჩესტერი 1:3 ჰალი**

**ვულვზი 2:1 სკანთორპი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტოკი | 39 | 18 | 13 | 8 | 61:49 | 67 |
| ბრისტოლი | 39 | 18 | 13 | 8 | 46:44 | 67 |
| უოტფორდი | 38 | 17 | 13 | 8 | 57:43 | 64 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 18 | 8 | 11 | 73:47 | 62 |
| ჰალი | 39 | 17 | 11 | 11 | 54:41 | 62 |
| პლიმუთი | 39 | 16 | 10 | 13 | 51:40 | 58 |
| კრ. პალასი | 39 | 14 | 15 | 10 | 44:37 | 57 |
| ვულვზი | 38 | 15 | 12 | 11 | 41:40 | 57 |
| იფსვიჩი | 38 | 15 | 11 | 12 | 56:48 | 56 |
| ჩარლტონი | 39 | 15 | 11 | 13 | 53:47 | 56 |
| ბარნლი | 39 | 14 | 13 | 12 | 52:52 | 55 |
| ქუინზ პარკი | 39 | 13 | 12 | 14 | 53:55 | 51 |
| შეფილდი | 38 | 12 | 14 | 12 | 41:41 | 50 |
| კარდიფი | 37 | 12 | 13 | 12 | 44:43 | 49 |
| ბლექპული | 39 | 11 | 15 | 13 | 53:52 | 48 |
| პრესტონი | 39 | 13 | 8 | 18 | 38:43 | 47 |
| ბარნსლი | 38 | 11 | 13 | 14 | 42:54 | 46 |
| ნორვიჩი | 39 | 12 | 10 | 17 | 35:48 | 46 |
| საუთჰემპტონი | 39 | 11 | 12 | 16 | 49:66 | 45 |
| ლესტერი | 39 | 10 | 14 | 15 | 38:36 | 44 |
| ქოვენთრი | 38 | 12 | 8 | 18 | 39:52 | 44 |
| უენსდი | 37 | 12 | 7 | 18 | 38:43 | 43 |
| სკანთორპი | 39 | 9 | 11 | 19 | 37:58 | 38 |
| კოლჩესტერი | 39 | 6 | 15 | 18 | 51:67 | 33 |

## იტალია

### სერია B. XXXI ტური

ალბინოლეფე — აველინო 3:3; ასკოლი — მესინა 1:1; ბარი — ჩეზენა 0:0; ბრეშა — ლეჩე 0:0; ფროზინონე — ტრიესტინა 0:1; გროსეტო — მანტოვა 1:0; მოდენა — ვიჩენცა 1:1; პიაჩენცა — პიზა 4:2; რავენა — კიევო 1:1; რიმინი — სპეცია 4:2; ტრევიზო — ბოლონია 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლონია | 31 | 18 | 9 | 4 | 42:19 | 63 |
| კიევო | 31 | 18 | 9 | 4 | 56:34 | 63 |
| ალბინოლეფე | 31 | 18 | 8 | 5 | 51:27 | 62 |
| ლეჩე | 31 | 16 | 11 | 4 | 48:21 | 59 |
| ბრეშა | 31 | 17 | 8 | 6 | 48:25 | 59 |
| პიზა | 31 | 17 | 8 | 6 | 52:34 | 59 |
| რიმინი | 31 | 14 | 8 | 9 | 44:29 | 50 |
| მანტოვა | 31 | 13 | 8 | 10 | 45:37 | 47 |
| ასკოლი | 31 | 11 | 11 | 9 | 40:31 | 44 |
| მესინა | 31 | 11 | 8 | 12 | 29:43 | 41 |
| ფროზინონე | 31 | 11 | 7 | 13 | 41:47 | 40 |
| ტრიესტინა | 31 | 10 | 9 | 12 | 39:47 | 39 |
| პიაჩენცა | 31 | 12 | 3 | 16 | 31:41 | 39 |
| მოდენა | 31 | 9 | 11 | 11 | 44:43 | 38 |
| ბარი | 31 | 8 | 12 | 11 | 37:45 | 36 |
| გროსეტო | 31 | 7 | 13 | 11 | 28:41 | 34 |
| ტრევიზო | 31 | 6 | 9 | 16 | 30:43 | 27 |
| ვიჩენცა | 31 | 5 | 12 | 14 | 28:48 | 27 |
| აველინო | 31 | 6 | 8 | 17 | 30:48 | 26 |
| ჩეზენა | 31 | 4 | 12 | 15 | 27:48 | 24 |
| სპეცია | 31 | 4 | 11 | 16 | 34:51 | 22 |
| რავენა | 31 | 4 | 9 | 18 | 37:59 | 21 |

„სპეციას" დაკლებული აქვს 1 ქულა

## შვეიცარია

### სუპერლიგა
### XXVI ტური

**ლუცერნი 0:3 იანგ ბოისი**

**სენტ გალენი 0:0 ქსამაქსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იანგ ბოისი | 26 | 15 | 7 | 4 | 63:37 | 52 |
| ბაზელი | 25 | 16 | 4 | 5 | 51:29 | 52 |
| ციურიხი | 25 | 11 | 7 | 7 | 45:27 | 40 |
| გრასჰოპერი | 25 | 10 | 6 | 9 | 41:39 | 36 |
| აარაუ | 25 | 8 | 9 | 8 | 35:35 | 33 |
| სიონი | 25 | 8 | 6 | 11 | 33:37 | 30 |
| ლუცერნი | 26 | 6 | 12 | 8 | 32:43 | 30 |
| ქსამაქსი | 26 | 6 | 8 | 12 | 31:41 | 26 |
| სენტ გალენი | 26 | 7 | 5 | 14 | 31:55 | 26 |
| თუნი | 25 | 5 | 6 | 14 | 22:41 | 21 |

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XXX ტური

**რაპიდი 2:0 აუსტრია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 29 | 15 | 7 | 7 | 53:30 | 52 |
| რაპიდი | 30 | 15 | 6 | 9 | 50:33 | 51 |
| ლინცერი | 29 | 13 | 9 | 7 | 44:36 | 48 |
| აუსტრია | 30 | 11 | 12 | 7 | 36:29 | 45 |
| შტურმი | 29 | 11 | 10 | 8 | 49:32 | 43 |
| მატერსბურგი | 29 | 10 | 11 | 8 | 45:37 | 41 |
| რიდი | 29 | 10 | 5 | 14 | 36:46 | 35 |
| ალტახი | 29 | 7 | 10 | 12 | 32:50 | 31 |
| პაშინგი | 29 | 7 | 5 | 17 | 21:51 | 26 |
| ტიროლი | 29 | 5 | 9 | 15 | 25:47 | 24 |

## ლიბერტადორესის თასი 2008

### I ჯგუფი. IV ტური

**კარაკასი 1:1 კრუზეირო**

1:0 ხ. ვალენსია (29), 1:1 მ. მარტინსი (55პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო (ბრაზილია) | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| კარაკასი (ვენესუელა) | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| რეალ პოტოსი (ბოლივია) | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

### II ჯგუფი. IV ტური

**ესტუდიანტესი 2:0 დანუბიო**

1:0 ვერონი (43პ), 2:0 დესაბატო (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტუდიანტესი (არგენტინა) | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ლანუსი (არგენტინა) | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| დეპორტივო კუენსა (ეკვადორი) | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| დანუბიო (ურუგვაი) | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

### VII ჯგუფი. III ტური

**აუდაქს იტალიანო 1:0 ატლეტიკო ნასიონალი**

1:0 ორელანა (49).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| სან პაულუ (ბრაზილია) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| აუდაქს იტალიანო (ჩილე) | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სპორტივო ლუკუენო (პარაგვაი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |



# კაკა ყველგან პირველია

**იტალიაში** ცნობილმა ბრენდმა „პანინიმ“, რომელმაც სახელი ყველაზე მეტად საფეხბურთო ჟურნალების ბეჭდვით გაითქვა, საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ სერია A-ს ყველაზე პოპულარული მოთამაშე კაკაა.

გამოკითხვაში 50 ათასზე მეტმა რესპონდენტმა მიიღო და ყველაზე მეტი ხმა სწორედ „მილანის“ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა მიიღო. მან ზლატან იბრაჰიმოვიჩს, ჯანლუიჯი ბუფონს, ალესანდრო დელ პიეროსა და ფრანჩესკო ტოტის გაუსწრო.

„პანინის“ თერთმეტეულში ყველაზე მოულოდნელი „ატურინის“ ყოფილი წევრის, „ჯენოას“ ნახევარმცველ მარკო როსის მოხვედრა გახდა. ამ ნიჭიერ ფეხბურთელს აპენინებზე ბევრი გულშემატკივარი ჰყოლია.

„პანინის“ გუნდის შემადგენლობა:

**მეკარე:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი);

**მცველები:** მარკო მატერაცი (ინტერი), პაოლო მალდინი (მილანი), ხავიერ ძანეტი (ინტერი);

**ნახევარმცველები:** კაკა (მილანი), მარკო როსი (ჯენოა), ჯენარო გატუზო (მილანი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი);

**თავდამსხმელები:** ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოტი (რომა).

**გიორგი კაკაბაძე**

# მილანი ბერბატოვს მიადგა



**იტალიური** „მილანი“ მომავალი სეზონისთვის ფორვარდს ეძებს და, აპენინური ჟურნალ-გაზეთების ინფორმაციით, ჩელსელი დიდიე დროგბასა და პალერმოელი ამაურის შემდეგ ლონდონის „ტოტენჰემის“ ბულგარელ თავდამსხმელ დიმიტარ ბერბატოვს მიადგა.

ფეხბურთელის აგენტმა ემილ დანჩევმა განაცხადა, ჯერ კონკრეტული არაფერია ცნობილი, მაგრამ თუ „როსონერისგან“ წინადადებას მივიღებთ, მას სიამოვნებით განვიხილავთო. ამბობენ, რომ „ტოტენჰემი“ ბერბატოვში 30 მილიონ ევროზე ნაკლებს არ მოითხოვსო.

„ჯერჯერობით ჩვენს შორის არანაირი კონტაქტი არ ყოფილა. თუმცა „მილანი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და დიმიტართან „სან სიროზე“ გადაბარგების შესაძლებლობაზე აუცილებლად ვისაუბრებთ. ამჟამად იგი მხოლოდ „ტოტენჰემის“ მაისურით კარგ თამაშზე ფიქრობს, მაგრამ ზაფხულის სატრანსფერო ბაზრამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ბერბატოვი ლონდონში თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვაგან ბედნიერი ვერ იქნება“ — თქვა დანჩევმა.

საინტერესოა, რომ ბერბატოვის თემის პარალელურად პრესაში „მილანში“ გადასვლის სხვა კანდიდატზეც ალაპარაკდნენ: „შტუტგარტისა“ და გერმანიის ნაკრების ფორვარდი მარიო გომესი ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში 14 გოლით მხოლოდ ლუკა ტონის ჩამორჩება და...

**კოკი კანდელაკი**

# საფეხბურთო ლეგენდები

**ფეხბურთს ბევრი ჩვენგანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მსოფლიოს ნომერ პირველი სპორტის სახეობაში ლეგენდებსა და საინტერესო ისტორიებს რა მოლევს. ჰოდა, ამიერიდან ჩვენც რამდენიმე მათგანი ხუთშაბათის „სარბიელში“ გავიხსენოთ ხოლმე**

**გიორგი კაკაბაძე**

ლეგენდა №1

## როგორ გაჩნდა ფეხბურთის კარზე ბადე

როგორც მოგეხსენებათ, თავდაპირველად ფეხბურთს უბადეო კარებით თამაშობდნენ. მინდორზე უბრალოდ ძელები იყო ჩარჭობილი და მოედნები შემოფარგლულიც არ გახლდათ.

ეს კი, შესაბამისად, დამატებით პრობლემებს უქმნიდა მოთამაშეებს. მათ გატანილი გოლების შემდეგ ბევრი სირბილი უხდებოდათ ბურთის მოსატანად (ადრე ფეხბურთს ძირითადად ერთი ბურთით თამაშობდნენ და მის დაკარგვას ან დაზიანებას ძალიან ერიდებოდნენ).

ასე გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, სანამ, 1891 წელს ინგლისის სამხრეთ და ჩრდილოეთ ლიგის კლუბებს შორის გამართული ერთ-ერთი მატჩისას, „ლივერპულის“ ფეხბურთელების რჩევით გუნდებმა კარებზე მეთევზეთა ჩვეულებრივი ბადეები არ დაკიდეს.

ბუნებრივია, ექსპერიმენტმა გაამართლა და ეს იდეა ყველას მოეწონა. ხოლო შემდგომში სპეციალური ბადეების გაკეთება და კარზე დაკიდება გადაწყდა.

ლეგენდა №2

## როგორ გახდა ტურინის იუვენტუსი შავ-თეთრი

იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის, „იუვენტუსის“ ფორმა თავდაპირველად ვარდისფერი გახლდათ (დაახლოებით ამგვარი ფორმით გუნდი 2003-2004 წლების სეზონიდან თამაშობს ხოლმე). თუმცა, ეს ვარდისფერი მაისურები სულ მალე, უბრალო შემთხვევითობის გამო, შავ-თეთრი კომბინიზონებით შეიცვალა.

კლუბის ისტორიაში შემონახული ცნობების თანახმად, 1903 წელს ტურინელებმა გახუნებული და დასვრილი ფორმების გამოცვლა გადაწყვიტეს. მათ რამდენიმე მაისურა ნიმუშად გაგზავნეს ინგლისის ქალაქ ნოტინგემში. იქაურმა კლერკმა ჭუჭყიანი და გაცრეცილი ფორმები კარგად ვერ გაარჩია და ისინი შავ-თეთრ კომბინიზონებს მიამსგავსა.

ნოტინგემელმა კლერკმა გადაწყვიტა, რომ „იუვენტუსის“ ფორმები, ადგილობრივი „ნოთს ქაუნთის“ იდენტური იყო და იტალიაში შავ-თეთრ ზოლიანი კომბინიზონები გაგზავნა. ამან, ტურინელები ძალიან გააკვირვა, მაგრამ მათ სხვა გზა აღარ რჩებოდათ და იძულებულნი იყვნენ ბედს შეგუებოდნენ. ასე რომ, „ბებერი ქალბატონი“ დღემდე შეცდომით გამოგზავნილი ფორმით თამაშობს.

30 წლის შემდეგ „იუვენტუსმა“, არც თუ ისე კარგ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ „ნოთს ქაუნთის“ სიმბოლური საჩუქარის სახით მცირე დახმარება გაუწია. ტურინელებმა ინგლისში ფორმები და ბურთები გაგზავნეს.

ლეგენდა №3

## პირველი ვუნდერტიმი

ავსტრია ახლოა ითვლება მცირე საფეხბურთო ქვეყნად, თორემ მის ისტორიაში არაერთი გამორჩეული პერიოდი ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ პირველი მათგანი 30-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ 1931-32 წლებში გახლდათ.

ავსტრიელთა იმ პერიოდის ლეგენდარული ნაკრები, რომელსაც შემდგომში „ვუნდერტიმი“ ანუ „გუნდი საოცრება“ დაარქვეს, 1931 წლის 16 მაისს გამოჩნდა, როდესაც ვენაში შოტლანდიის საკმაოდ ძლიერი გუნდი გაანადგურა ანგარიშით 5:0. შემდეგ, დაახლოებით ერთი წლის მანძილზე, იყო კიდევ არაერთი შთამბეჭდავი გამარჯვება. განსაკუთრებულად გამოსარჩევია გერმანელებთან მოგებული პრინციპული შეხვედრა — პრინციპული მეტოქისთვის დამამცირებელი ანგარიშით 6:0.

ასევე, უნგრეთის ნაკრებთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებები 8:2 და 3:2. გარდა ამისა, ბელგიელებთან და იტალიელებთან მოგებული შეხვედრები, შესაბამისად 3:1 და 2:1.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გუნდი, იმ დროს, სერიოზულ ძალას წამოადგენდა და სპეციალისტები თუ გულშემატკივრები, განცვიფრებას და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ავსტრიელთა ჩინებული თამაშით.

ლეგენდარული „ვუნდერტიმის“ ხელმძღვანელი ჰუგო მაიზელი გახლდათ. ხოლო ნაკრების ლიდერები გახლდნენ — ჩინებული გოლკიპერი რუდოლფ ჰიდენო, ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე, დიდებული ფორვარდი მატიას შინდელარი და გუნდის „ტვინად“ წოდებული ვალტერი ნაუში.

ლეგენდა №4

## მსოფლიო ჩემპიონატის არაოფიციალური ფინალი

სწორედ ამ სახელით არის ცნობილი, 1934 წელს ლონდონის სიახლოვეს გამართული ინგლისისა და იტალიის ნაკრებების ამხანაგური მატჩი.

როგორც იცით, 1934 წელს მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი ჩატარდა და მისი გამარჯვებული იტალიის ნაკრები გახდა. შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად, იმ დროს საოცრად ძლიერი ინგლისელები სხვადასხვა მოსაზრებების გამო, უარს აცხადებდნენ მუნდიალებში მონაწილეობაზე და არ სცნობდნენ მის შედეგებს. აქედან გამომდინარე, „სკუადრა ატურამ“ ინგლისელებს ამხანაგური მატჩის გამართვა შესთავაზა, რაზეც თანხმობა მიიღო. თუმცა, გადაწყდა, რომ შეხვედრა ნისლიან ალბიონზე შედგებოდა.

ის მატჩი ერთ-ერთი ყველაზე უხეში შეხვედრის სახელით შევიდა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. ორივე გუნდის ფეხბურთელები, ერთმანეთს არ ინდობდნენ და თამაშზე მეტად ხელჩართულ ჩხუბზე ფიქრობდნენ. საბოლოოდ, ინგლისელებმა მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს მეტოქე 3:2.

# კუმანი ვალენსიას გაფერთხვას აპირებს
## წაგება ცუდია, მოგება დილემაა...

„**კოპა** დელ რეიზე" „ვალენსიას" და „ბარსელონას" დღევანდელი ჯახი რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს, „ღამურათა" კლუბი მკვეთრ ცვლილებებს და სატრანსფერო ოროლმტრიალს მაინც ვერ გადაურჩება. თუ „ბარსამ" „ვალენსია" თასის მიღმა დატოვა, „ტინტინს" (რონალდ კუმანს ესპანეთში ასე ეძახიან) და მის თანაშემწეებს „მესტალიადან" ალბათ დაუყოვნებლივ მიაბრძანებენ. სხვა შემთხვევაში კი, ანუ თუ „ღამურებმა" გაიმარჯვეს და ფინალში გააღწიეს, „ვალენსიას" შემადგენლობის მოზრდილ ნაწილს ახალი კლუბის ძებნა მოუწევს. ამბობენ, რომ „ტინტინმა" გუნდის პრეზიდენტს სამომავლსეზონოდ „მესტალიადან" წამსვლელთა სია უკვე წარუდგინა, თანაც საკმაოდ ვრცელი...

ჯერ ის ვთქვათ, კუმანი, „მესტალიაზე" დარჩენის შემთხვევაში, გუნდის შევსებას რომელი ფეხბურთელებით აპირებს. ჰოლანდიელს „ვალენსიაში" სტივენ პიენაარის მიყვანა უნდოდა, თუმცა „დორტმუნდის" სამხრეთაფრიკელი ნახევარმცველი, ვინც „რეინჯერსში" აქამდე იჯარით ბურთაობდა, მალე შოტლანდიურ კლუბთან კონტრაქტზე ხელს მოაწერს და „ღამურებთან" მისი თანამშრომლობის იდეაც ილუზიად გადაიქცევა.

რონალდ კუმანი სხვა სასურველ მოთამაშეთა ვინაობს არ ამხელს, თუმცა ის მაინც ვიცით, „ტინტინი" რა და რა პოზიციების გაძლიერებას აპირებს. ჰოლანდიელი (თუ, რა თქმა უნდა, დასცალდა), „მესტალიაზე" ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ორ ახალ მეკარეს, ორ ცენტრალურ მცველს, ორ ნახევარმცველს და ცენტრალურ თავდამსხმელთა წყვილს მიიყვანს. სულ კუმანს 8 ტრანსფერი ჩაუფიქრებია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ღამურათა" ძველი შემადგენლობა კარგად გაიფერთხება...

ვის დაითხოვენ „მესტალიადან"? სამივე ამჟამინდელ გოლკიპერს, პლუს ამას მორიენტესს, ჟიგიჩს და მიგელს. ანგულოს და ალბელდას საქმე ხომ უკვე გადაწყვეტილია და „შერისხულთა" შორის შეიძლება სილვა, ვისენტე, ელგერა და ბარახაც ვიხილოთ. ასევე არ არის გამორიცხული, „ღამურები" დავიდ ვილიასაც გამოემშვიდობონ.

უშუალოდ დღევანდელ სათასო დაპირისპირებაზე კი ის შეიძლება ვთქვათ, რომ კუმანმა ნიკოლა ჟიგიჩი და ალექსის რუანო განაცხადში არ შეიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფეხბურთელები ტრავმიანობას არ უჩივიან. ვისენტე როდრიგესს მარცხენა ფეხი სტკივა და ვერ ითამაშებს. კანსარესი, ალბელდა და ანგულო კი „ტინტინმა" უკვე დაითხოვა გუნდიდან და ვერცერთი მათგანი „მესტალიაზე" ვერ გამოვა. ივან ელგერა მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე უქეიფოდ გახლდათ, თუმცა ექსმადრიდელმა დროულად მოახერხა გამოჯანმრთელება და, სავარაუდოდ, კატალონიელებთან ომს არ დააკლდება.

„ვალენსიასნთან" სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიბრძოლებთ. ეს უმნიშვნელოვანესი მატჩია და წაგება არ გვეპატიება" — განაცხადა სამუელ ეტოომ. სვათა შორის, ნახევარფინალური დუელის პირველ მატჩში „ბარსელონას" გადამრჩენი გოლი სწორედ კამერუნელთან დაკავშირებული საკამათო ეპიზოდის შემდეგ გავიდა — ეტოომ შეხვედრის 93-ე წუთზე ჰილდებრანდის კარში დარტყმამდე ბურთი უნებლიეთ, თუმც მაინც ხელით შეაჩერა, მერე კი ხავიმ ივაჟკაცა და ტაბლოზე 1:1 აანთო.

რონალდინიოს ამბავი ჯერ არ გარკვეულა. გაუჩომ „ალმერიასთან" საპრიმერო მატჩში თითქოს ტრავმის გამო ვერ ითამაშა, თუმცა მერე სამედიცინო შემოწმება გაიარა და აღმოჩნდა, რომ ხარივით ჯანმრელია და არაფერი აწუხებს... „მარკას" ვერსიით, „ბარსას" მწვრთნელმა რაიკარდმა ბრაზილიელი დისკოთეკათა ხშირი სტუმრობისთვის დასაჯა — მატჩი გამოატოვებინა. ახლა კი „ვალენსიასთან" თამაშს ითხოვს. „მართალია, მუხლი მაწუხებს (!), მაგრამ მინდა, „ვალენსიასთან" მაინც ვითამაშო" — აცხადებს კატალონიელთა ვარსკვლავი.

**ლადო ხომერიკი**





# წაგება და სასჯელი ბოთლის სანაცვლოდ

„**ბილბაოს**" „ბეტისთან" 2:1 მოგება ჩაეთვალა, „რუის დე ლოპერას" არენა კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. პრიმერადივიზიონის სატურნირო კომიტეტმა ასე განსაჯა. სევილიელებს ძვირად დაუჯდათ ბოთლი, რომელიც ვაი-გულშემატკივარმა ბასკთა მეკარე არმანდოს ესროლა სახეში.

კომიტეტმა საბოლოოდ „ბეტისს" იმ ანგარიშით გადაუწყვიტა წაგება, რაც ბოთლის ინციდენტის შემდეგ მატჩის შეწყვეტისას ტაბლოზე იყო ასახული. მიუხედავად იმისა, რომ კანონის ძალით ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში ორივე კლუბს შეუძლია სატურნირო კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება, ამ საკითხზე დავა ალბათ დიდხანს არ გაგრძელდება.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, თუ რა მოხდა „რუის დე ლოპერაზე" პრიმერას 28-ე ტურში: 40 წლის გიჟმა ფანმა „ატლეტიკის" მეკარეს წყლით სავსე პლასტიკური ბოთლი სახეში მოარტყა, რის გამოც არმანდო რიბეირომ საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო. ექიმებმა გოლკიპერს უპეზე 5 ნაკერი დაადეს, ხოლო აგრესიული ინჩასი თავად „ბეტისის" გულშემატკივრებმა ჩააბარეს პოლიციას. „რაკი დამნაშავე პოლიციას ბეტისელებმა ჩააბარეს, ამ კლუბს სასჯელი შეუმსუბუქდა" — განუცხადა მედიას სატურნირო კომიტეტის პრეზიდენტმა ალფრედო ფლორესმა.

ანდალუზიელ გულშემატკივრებს რომ არ ეყოჩაღათ, „რუის დე ლოპერას" ფეხბურთიდან 4 ან მეტი მატჩითაც მოჰკვეთდნენ. „სანქციის სირბილე გულშემატკივართა სწრაფმა რეაგირებამ განაპირობა" — თქვა კომიტეტის პრეზიდენტმა.

ფედერაციის კანონმდებლობით, „ბეტისს" მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება კიდევ 10 დღის განმავლობაში შეუძლია.

**ლადო ხომერიკი**

# შუსტერის დროგბა თუ მიატოვიჩის ჰუნტელაარი

**ტრავმის**, ან ჯარიმის შემთხვევაში რუუდ ვან ნისტელროის მოედანზე არყოფნა პრობლემად რომ არ ექცეს, მადრიდის „რეალი" ევროპულ სატრანსფერო ბაზარზე ახალ მოირიშეებს დაეძებს. ბერნდ შუსტერის ფავორიტი „ჩელსის" 30 წლის ფორვარდი დიდიე დროგბაა, თუმცა სამეფო გუნდის სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი გუნდში „აიაქსის" შედარებით ახალგაზრდა თავდამსხმელის, კლაას იან ჰუნტელაარის მიყვანასაც აპირებს.

მიატოვიჩის მიზანია, ჰუნტელაარი მომავალი 5 სეზონის განმავლობაში დატოვოს ესპანეთის სატახტოში. „აიაქსის" ცენტრალური თავდამსხმელი 24 წლისაა და 27 გატანილი გოლით ჰოლანდიური ერედივიზიონის მთავარმეგოლედ გახდომა უკვე მოასწრო. „რეალის" მწვრთნელ ბერნდ შუსტერს, როგორც მოგახსენეთ, ვან ნისტელროის სასურველ პარტნიორად დიდიე დროგბა მიაჩნია (რომლის ზაფხულში გასხვისებაზე, „ჩელსი", სავარაუდოდ, უარს არ იტყვის), თუმცა მიატოვიჩი, ალბათ, თავის გავლენას გამოიყენებს და მანამდე ჰუნტელაარის მოჩანგვლას ეცდება.

სპორტული დირექტორის აიაქსელით დაინტერესების პირველი და უმთავრესი მიზეზი „რეალის" სამომავლო პროექტში უნდა ვეძიოთ. დროგბა უკვე „საპატიო ასაკშია" და „რეალს" უმაღლეს დონეზე ბურთაობით მხოლოდ 2 ან 3 სეზონით უზრუნველყოფს. კლაას იან ჰუნტელაარს კი სამეფო გუნდის გოლებით მომარაგება 7-8 წლის განმავლობაში მაინც შეუძლია (რა თქმა უნდა, თუ ტრავმებმა არ გააწამა).

ჰოლანდიელთან მოლაპარაკების დაწყების მეორე მიზეზი ის არის, რომ პრედრაგ მიატოვიჩი ჰუნტელაარის უკვე ორი სეზონია, აკვირდება. გასულ სეზონში კლაას იანმა 33 გოლი გაიტანა და უესლი სნეიდერის წამოსაყვანად ამსტერდამში ჩასულმა მიატოვიჩმაც „აიაქსის" პრეზიდენტს განუცხადა, სამომავლსეზონოდ „რეალში" უკვე ჰუნტელაარის გადაყვანაზე უნდა მოვილაპარაკოთო.

თავის დროზე, სამეფო გუნდის სპორტულმა დირექტორმა არჩევანი რუუდ ვან ნისტელროიზე შეაჩერა (აღსანიშნავია, რომ „რეალის" მაშინდელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს არა ჰოლანდიელის, არამედ ფრანგი დავიდ ტრეზეგეს ყიდვა უნდოდა). ახლა მიატოვიჩი ჰუნტელაარის შეძენას ცდილობს და ფიქრობს, რომ ორი ჰოლანდიელი კასტილიურ გრანდს მომავალი ხუთი სეზონის განმავლობაში გატანილ გოლებს არ მოაკლებს. ეს სამომავლოდ, თორემ „რეალს" დღეს ვან ნისტელროის ტრავმიანობისას, შემტევთა ხაზზე ფრიად უჭირს — ბერნდ შუსტერი არც ხავიერ სავიოლას ენდობა, არც რობერტო სოლდადოს და არც გონსალო იგუაინს.



კლაას იან ჰუნტელაარი

ჰუნტელაარის სატრანსფერო ღირებულება 35 მილიონი ევროა. სწორედ ეს თანხა დაუსახელა „აიაქსმა" „ჩელსის" (აბრამოვიჩს კლაას იანით დროგბას ჩანაცვლება სურს), „მილანს" (იტალიელები რონალდოს შემცვლელს ეძებენ) და „რომას", როცა ამ კლუბებმა შესანიშნავი მეგოლის ყიდვა მოინდომეს.

**ლადო ხომერიკი**

# იუვეს და მოჯის გეგმები



**ტურინის** „იუვენტუსის“ დირექტორთა საბჭომ „სტადიო დელე ალპის“ ადგილას ახალი სტადიონის აშენების პროექტი დაამტკიცა. ეს კლუბს დაახლოებით 125 მილიონი ევრო დაუჯდება.

წესით, ახალი სტადიონი 2011-2012 წლების სეზონისთვის უნდა იყოს მზად. იქამდე „ბებერი ქალბატონი“ თანაქალაქელ „ტორინოსთან“ ტურინის „სტადიო ოლიმპიკოს“ გაიყოფს.

„დელე ალპი“ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აშენდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ფანებში პოპულარობით არასდროს სარგებლობდა.

„ბიანკორენის“ ახალი სტადიონი თანამედროვე, ეგრეთ წოდებული „ბრიტანული სტილისა“ იქნება: საფეხბურთო თამაშების გარდა, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს უმასპინძლებს. მის ტერიტორიაზე იქნება მაღაზიები და სხვადასხვა გასართობი დაწესებულებები.

ამასობაში „იუვენტუსს“ არ ეშვება გუნდის ყოფილი გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი. 70 წლის „ლაქი ლუჩანომ“, რომელიც ფეხბურთიდან 2011 წლამდეა მოკვეთილი, კიდევ ერთხელ გააკრიტიკა კლუბის ამჟამინდელი უფროსობა და აღნიშნა, რომ ფეხბურთში დაბრუნებას გეგმავს.

„ფეხბურთში დაბრუნებისთვის მზად ვარ და იმედია, ეს იმაზე მალე მოხდება, ვიდრე ბევრს ჰგონია. „იუვეში“ მუშაობის განახლება კლუბის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ხელში გამორიცხულია. „ბებერ ქალბატონ“ ახლა არაპროფესიონალები მართავენ, რომლებსაც მწვრთნელთან ცუდი ურთიერთობა აქვთ. არადა, კლაუდიო რანიერი ჩინებულად მუშაობს. რას ვფიქრობ პალერმოელ ამაურიზე? ეს ბიჭი ჩემპიონი არ არის. დავიდ ტრეზეგე ბევრად სჯობია. არ მესმის, რატომ აპირებს „იუვე“ მის შეძენას“ — თქვა მოჯიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მანიშეს ჰორიზონტზე მონაკოა

**„მონაკოს“** პორტუგალიელი მანიშეს ყიდვა უნდა. როგორც ლისაბონური ANTENA ! აცხადებს, ფრანგული კლუბის პრეზიდენტი მიშელ პასტორი ფეხბურთელს უკვე შეხვდა და მომავალი ტრანსფერის დეტალებზე მოელაპარაკა. მანიშე „ლუი II“-ს არიენას სავარაუდოდ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე მიაკითხავს.

პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი ამჟამად „ინტერში“ თამაშობს იჯარით, ისე კი მადრიდის „ატლეტიკოს“ საკუთრებაა. კონტრაქტით მანიშეს „ათლეტებან“ კიდევ ერთი სეზონით უწევს თანამშრომლობა. „ინტერნაციონალეში“ მისი გადაბარგება იანვრის სატრანსფერო ბაზარზე მოხდა, როცა მადრიდში დარწმუნდნენ, რომ მანიშესა და „ატლეტიკოს“ მწვრთნელ ხავიერ აგირეს ურთიერთობა სამუდამოდ გაფუჭდა. თუმცა ახლა მანიშეთი ფულის გაკეთება შეიძლება და ესპანელები ფეხბურთელში ადრე გადახდილ 9 მილიონ ევროს (ან შეიძლება უფრო მეტის) უკან დაბრუნებაზე უარს ნამდვილად არ იტყვიან.

აგირესთან ნაჩხუბარი მანიშე თავს იდეალურად ვერც „ინტერში“ გრძნობს. თავის დროზე თანამემამულის „სან სიროზე“ მისვლას თავდებად ლუიშ ფიგუ დაუდგა, თუმცა მანიშემ მწვრთნელის გული ვერ მოიგო და მოედანზეც იშვიათად გამოდის. ეს კარგად შენიშნეს „მონაკოში“, სადაც ბრაზილიელი რიკარდუ გომეში მწვრთნელობს.



მანიშეს წარმომადგენელი, ცნობილი საფეხბურთო აგენტი ჟორჟე მენდეში აცხადებს, რომ სატრანსფერო შემოთავაზებანი სხვა კლუბებისგანაც მიიღო, თუმცა რახან „მონაკოს“ ვარიანტი ყველაზე სანდოა, უფრო აქტიურად ფრანგებთან ითანამშრომლებს. „ატლეტიკოც“, ცხადია, მანიშეს ყოველ ნაბიჯს აკვირდება.

**ლადო ხომერიკი**



# ზლატანის ბოდიში

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** კი ამბობდა, „პალერმოსთან“ რომ შემცვალეს, ამით და ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვიყავი, ამიტომ გავბრაზდი, მაგრამ მწვრთნელზე ცუდი არაფერი მითქვამსო, მაგრამ ირკვევა, რომ მას ბოდიში მოუხდია. ჰოდა, რადგან „იბრაკადაბრას“ საქმე საბოდიშოდ ჰქონდა, ესე იგი, მაინც უთქვამს რაღაც რობერტო მანჩინიზე.

„მასთან მიმართებაში ყველაფერი კარგადაა. იბრაჰიმოვიჩი, საუკეთესო ფორმაში რომც არ იყოს, ჩვენს თამაშზე ყოველთვის გადამწყვეტ გავლენას ახდენს. მან პერსონალურად მომიბოდიშა და ჩვენს შორის არანაირი პრობლემა არ არის. როცა გცვლიან, ყოველთვის საწყენია, ფეხბურთი სავსეა ამგვარი ინციდენტებით. მახსოვს, როცა „სამპდორიაში“ ვთამაშობდი, იტალიის თასის ნახევარფინალში სწორედ „ინტერს“ მოვუგეთ 1:0. ის გოლი მე გავიტანე და კარგადაც ვითამაშე, მაგრამ ვუიადინ ბოშკოვმა მაინც შემცვალა. ამან ძალიან გამაბრაზა და მას ყველაფერი ვუთხარი, რასაც იმ მომენტში ვფიქრობდი. ღამე ჩემი საქციელის ძალიან შემრცხვა და მეორე დღეს ბოშკოვსაც მოვუბოდიშე და მთელ გუნდსაც“ — თქვა მანჩინიმ.

**კოკი ქანდელაკი**

## ალბანეთს უეფამ დაუმატა

**ფიფასგან** დისკვალიფიცირებულ ალბანეთს უეფამ [illegible] სასჯელი დაუმატა და კლუბებიც მოკვეთა. ალბანელ მწვრთნელებს თუ ფედერაციის ჩინოსნებს, უეფას ეგიდით გამართულ კურსებზე, სემინარებსა და კომიტეტთა სხდომებზე დასწრება ეკრძალებთ.

მოკვეთილები არიან მსაჯებიც, დელეგატებიც და სხვა ოფიციალური პირებიც. ამ საკითხზე უეფა 28 მარტს ვადუცშიც იმსჯელებს, სადაც აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა შედგება.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოსგან ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში ჩარევის გამო, ფიფამ ალბანეთი 14 მარტს წითელი ბარათი უჩვენა და დროებით, პრობლემების მოგვარებამდე „ოჯახიდან გააძევა“.

## ჯერ მესროლეთ!

**ბრემენის** „ვერდერის“ თავმჯდომარემ იურგენ ბორნმა განაცხადა, რომ ცოცხალი თავით დიეგოს არ გაყიდის. ბოლო კვირების განმავლობაში ჯერ „ჩელსიმ“ და მერე „რეალმა“ ბრაზილიელის შეძენის სურვილი გამოთქვეს და ამბავიც ამის გამო ატყდა. „თუ ვინმეს დიეგოს ყიდვა უნდა, ჯერ მე უნდა მომკლას. ეს ბიჭი ჩემს გვამს თუ გადააბიჯებს და ისე წავა, სხვანაირად კი შეუძლებელია. დიეგო არ იყიდება. მას კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს და „რეალიდან“ აქ არავის დაურეკავს და არც არავინ მოსულა“.

## დე ბური ალ შამალიდან

**37 წლის** რონალდ დე ბურმა, რომელიც ყატარის „ალ შამალში“ თამაშობდა, კარიერა დაასრულა. ცოტა ხნის წინ საზარდულზე ოპერაცია გაიკეთა, ახლა მომჯობინდა, მაგრამ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა და მოედანზე გასვლა აღარ გარისკა. „კლუბთან კონტრაქტი გავწყვიტე და კარიერაც ამით დამთავრდა — თქვა ჰოლანდიელმა — აქ გუნდებს ოთხ უცხოელზე მეტის თამაშის უფლება არ აქვთ და ადგილი ტყუილად რომ არ დამეკავებინა, მივდივარ. „ალ შამალში“ ჩემს მაგივრად ბრაზილიელი მოვა“. დე ბური ყატარში 2004 წლიდანაა, მას შემდეგ, რაც „რეინჯერსიდან“ წავიდა. მანამდე „აიაქსში“ და „ბარსელონაში“ იყო, ნაკრებში კი 67-ჯერ უთამაშია.

## სანამ დაწერ, იკითხე

**„მილანმა“** უარყო „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობა მეკარე ჟელკო კალაჩთან კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივების თაობაზე. დიდას ტრავმის გამო ავსტრალიელი ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა, სამშაბათს კი გაზეთმა დაწერა, რომ კალაჩის ხელშეკრულება 2010 წლამდე გაუგრძელეს და ამ ხნის განმავლობაში 5 მილიონ ევროს მიიღებს. „გაძეტა დელო სპორტმა“ კიდევ ერთხელ გაავრცელა მცდარი ინფორმაცია. ამის დამწერს მეტი ყურადღება მართებდა, რადგან ჩვენ მისი შეცდომის გამოსწორება გვიწევს“ — ნათქვამის „მილანის“ ოფიციალურ განცხადებაში.

## რიბერივით დოსევი

**„ვილიარეალი“** „ლე მანის“ 20 წლის ფეხბურთელით მატიე დოსევით დაინტერესდა. ბიჭს საფრანგეთის ჩემპიონატში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ უკვე „ახალ რიბერიდ“ მონათლეს. ესპანური კლუბის მწვრთნელი მანუელ პელეგრინი დარწმუნებულია, რომ დოსევის ნიჭი მის გუნდში გაიხსნება, რადგან სწორედ პელეგრინის ხელში ათამაშდნენ ჩილელი მატიას ფერნანდესი და იტალიელი ჯუზეპე როსი.

## ფიგუს პარკი გაუკვირდა

**ლუიშ ფიგუმ** მომავალ სეზონში ქპრ-ში შესაძლო გადასვლას მონაჩმახი უწოდა. „ამ კლუბთან არანაირი მოლაპარაკება არ მქონია — თქვა პორტუგალიელმა — ჯერჯერობით „ინტერში“ ვარ და ვიმედოვნებ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ უკეთეს გუნდში გადასვლის ვარიანტი მექნება, ვიდრე „ქუინზ პარკია“.

„ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის 35 წლის ფიგუსთან კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივება სურს.

## ეს რა სისულელეა?!

**„ევერტონის“** აღმასრულებელი შეფი კეიტ ვაინსი სამხრეთ აფრიკის სპორტის მინისტრის იდეამ გააბრაზა. მინისტრმა მახენკესი სტოფილემ განაცხადა, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი წლით ადრე, ანუ 2008-ის ზაფხულიდან, სამხრეთ აფრიკის ნაკრების ფეხბურთელები თავ-თავიანთ კლუბებიდან უნდა აიბარგონ, სამშობლოში ჩავიდნენ და ჩემპიონატისთვის მოემზადონ. საამისოდ მოთამაშეები ქვეყნის მთავრობასთან კონტრაქტებს გააფორმებენ. „ჩვენ ფეხბურთელებს ხელშეკრულებებს გავუფორმებთ და მწვრთნელს ორი წლის განმავლობაში მათთან მშვიდად მუშაობის საშუალება ექნება. ისინი ჩემპიონატისთვის საუკეთესო ფორმაში უნდა იყვნენ — თქვა სტოფილემ, ხოლო კეიტ ვაინსმა, რომლის გუნდშიც სამხრეთაფრიკელი სტივენ პიენაარი თამაშობს, ბრძანა: „ეს იდეა მთელ საფეხბურთო მეურნეობას თავდაყირა დააყენებს. მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა და ამის გაკეთება შეუძლებელია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 2 | მიდლსბრო-დერბი | 1.40 | 4.00 | 7.40 | 1.03 | 1.17 | 2.59 |
| 19:00 | 4 | ნიუკასლი-ფულემი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 19:00 | 5 | რედინგი-ბირმინგემი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 16:45 | 6 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| 19:00 | 7 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1.50 | 3.50 | 6.60 | 1.04 | 1.22 | 2.28 |
| 19:00 | 8 | ბლექბერნი-უიგანი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 19:00 | 9 | ბოლტონი-სიტი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 21:15 | 11 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1.70 | 3.40 | 4.85 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 10 | ჩელსი-არსენალი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 17:30 | 12 | მანჩესტერი-ლივერპული | 2.00 | 3.10 | 3.70 | 1.21 | 1.29 | 1.68 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 20:45 | 19 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 13 | უენსდი-კრისტალ პალასი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 14 | საუთჰემპტონი-ქოვენთრი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 15 | სტოკი-ბლეკპული | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 16 | ბარნსლი-შეფილდი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 19:00 | 17 | ვულვერჰემპტონი-ქპრ | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 19:00 | 18 | კარდიფი-ბრისტოლი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 19:00 | 20 | ლესტერი-ჰალი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 21 | ნორვიჩი-კოლჩესტერი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 22 | პლიმუთი-უოტფორდი | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |
| 17:00 | 23 | პრესტონი-ბარნლი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 24 | სკანთორპი-იფსვიჩი | 2.55 | 3.30 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.40 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 117 | ტრანმერე-პორტ ვეილი | 1.55 | 3.60 | 5.75 | 1.08 | 1.22 | 2.21 |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 27 | საუთენდი-სუონსი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 19:00 | 29 | იოვილი-დონკასტერი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 23:45 | 36 | ნორთჰემპტონი-ნოტინგემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 26 | ოლდემი-მილუოლი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 28 | ბრაიტონი-სუინდონი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 30 | როვერსი-ჰადერსფილდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 31 | ქრიუ-ჰარტლპული | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 32 | ჯილინგემი-ბორნმუთი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 21:20 | 33 | ლიდსი-უოლსოლი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 19:00 | 34 | ლეიტონი-კარლაილი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 35 | ლუტონი-ჩელტენემი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 53 | სტოკპორტი-მაკლსფილდი | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 23:45 | 60 | დონსი-პიტერბრო | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 49 | მორიკომბი-უიკომბი | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 50 | ნოტსი-როჩდეილი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 51 | როტერჰემი-ბრედფორდი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 52 | ბარნეტი-ლინკოლნი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 19:00 | 54 | ბრენტფორდი-რექსემი | 1.90 | 3.40 | 3.60 | 1.21 | 1.24 | 1.74 |
| 19:00 | 55 | ჩესტერი-დარლინგტონი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 19:00 | 56 | ჩესტერფილდი-გრინგტონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 57 | დაგ ენდ რედი-შრიუსბერი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 58 | ჰერეფორდი-ბერი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 59 | მენსფილდი-გრიმსბი | 2.60 | 3.30 | 2.50 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 73 | სტივენეიჯი-ებსფლითი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 79 | სალისბერი-ჰისტონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 84 | ფორესტ გრინი-უოკინგი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 74 | ალდერშოტი-ალტრინჰემი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 19:00 | 76 | ბარტონი-ქროული | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 19:00 | 77 | სტეფორდი-ტორკი | 4.40 | 3.50 | 1.70 | 1.94 | 1.22 | 1.14 |
| 19:00 | 78 | ჰალიფაქსი-ოქსფორდი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 80 | ექსეტერი-კიდერმინსტერი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 81 | კემბრიჯი-ვეიმუთი | 1.45 | 3.80 | 6.40 | 1.04 | 1.18 | 2.38 |
| 19:00 | 82 | რაშდენი -იორკი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 83 | ნორთვიჩი-ფარსლი | 2.30 | 3.40 | 2.70 | 1.37 | 1.24 | 1.50 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 150 | კილმარნოკი-ინვერნესი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 151 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1.35 | 4.25 | 7.75 | 1.02 | 1.14 | 2.74 |
| 19:00 | 153 | აბერდინი-სტ.მირენი | 1.70 | 3.35 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.88 |
| 16:30 | 154 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 2.10 | 3.25 | 3.00 | 1.27 | 1.23 | 1.55 |
| 19:00 | 155 | ჰართსი-ფოლკირკი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 156 | გრეტნა-სელტიკი | 25.00 | 7.50 | 1.08 | 5.76 | 1.03 | 1.00 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 158 | კლაიდი-ქუინი | 2.70 | 3.40 | 2.20 | 1.50 | 1.21 | 1.33 |
| 19:00 | 159 | დანფერმლაინი-დანდი | 3.00 | 3.40 | 2.05 | 1.59 | 1.21 | 1.27 |
| 19:00 | 160 | მორტონი-ლივინგსტონი | 2.15 | 3.40 | 2.80 | 1.31 | 1.21 | 1.53 |
| 19:00 | 161 | პარტიკი-სტ.ჯონსტონი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 19:00 | 162 | სტირლინგი-ჰამილტონი | 5.00 | 3.80 | 1.50 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 163 | ეარი-კოუდენბითი | 1.75 | 3.50 | 4.00 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 19:00 | 164 | ბრეჩინი-ბერიკი | 1.40 | 4.00 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.44 |
| 19:00 | 165 | პიტერჰედი-ერდრი | 2.50 | 3.40 | 2.40 | 1.44 | 1.22 | 1.40 |
| 19:00 | 166 | ქუინზ პარკი-ალოა | 2.50 | 3.40 | 2.35 | 1.44 | 1.21 | 1.38 |
| 19:00 | 167 | როსი-რეითი | 1.65 | 3.50 | 4.35 | 1.12 | 1.19 | 1.93 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 168 | ალბიონი-ელგინი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 19:00 | 169 | არბროთი-ფორფარი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| 19:00 | 170 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 19:00 | 171 | სტენჰაუზმური-დამბარტონი | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 19:00 | 172 | სტრანრარი-ისტ სტირლინგი | 1.45 | 4.20 | 5.30 | 1.07 | 1.13 | 2.34 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 125 | აინტრახტი-კოტბუსი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 176 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 18:30 | 177 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| 18:30 | 178 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:30 | 179 | დუისბურგი-ჰანოვერი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 18:30 | 182 | დორტმუნდი-კარლსრუე | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 18:30 | 183 | შტუტგარტი-ჰანზა | 1.40 | 4.10 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.65 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 173 | ჰერტა-შალკე | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 20:00 | 174 | არმინია-ვერდერი | 4.00 | 3.20 | 1.90 | 1.77 | 1.28 | 1.19 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 189 | აუგსბურგი-პადერბორნი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 21:00 | 190 | კაიზერსლაუტერნი-ოფენბახი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 21:00 | 193 | ზტ.პაული-ოსნაბრიუკი | 2.00 | 3.15 | 3.50 | 1.22 | 1.27 | 1.65 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 186 | აუე-ფრაიბურგი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 17:00 | 188 | კობლენცი-მიუნხენი 1860 | 2.35 | 3.25 | 2.70 | 1.36 | 1.25 | 1.47 |
| 17:00 | 191 | კიოლნი-ვეენი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| 17:00 | 192 | მაინცი-ჰოფენჰაიმი | 2.30 | 3.25 | 2.80 | 1.34 | 1.26 | 1.50 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 185 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 200 | ვერდერი(მ)-ვოლფსბურგი(მ) | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.) | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 206 | ოგერშაიმი-მიუნხენი1860(მ) | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 21:30 | 208 | შტუტგარტი(მ)-აალენი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 22:30 | 210 | ზიგენი-ინგოლშტადი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 22:00 | 211 | ბაიერნი(მ)-ელვერსბერგი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 241 | გოსაუ-ბელინცონა | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 20:30 | 247 | ვინტერთური-კონკორდია | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 321 | სევილია-ატლეტიკო | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:00 | 331 | მალიორკა-დეპორტივო | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 322 | ლევანტე-ვილიარეალი | 4.65 | 3.40 | 1.70 | 1.96 | 1.24 | 1.13 |
| 20:00 | 324 | სარაგოსა-ალმერია | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 20:00 | 325 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1.25 | 5.10 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.57 |
| 20:00 | 327 | ოსასუნა-ბეტისი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 23:45 | 328 | ბილბაო-ხეტაფე | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 20:00 | 329 | რასინგი-უელვა | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 330 | მურსია-ესპანიოლი | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 22:00 | 332 | რეალი-ვალენსია | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 337 | ეიბარი-ტენერიფე | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 23:00 | 339 | ლას პალმასი-კადისი | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 21:30 | 340 | ელჩე-სევილია ბ | 2.20 | 2.90 | 3.55 | 1.25 | 1.35 | 1.59 |
| 21:30 | 341 | სერესი-მალაგა | 3.30 | 2.90 | 2.25 | 1.54 | 1.33 | 1.26 |
| 21:30 | 344 | სპორტინგი-ხოსიედადი | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 334 | ფეროლი-ჰერკულესი | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 20:00 | 335 | კორდობა-ალავესი | 2.05 | 2.90 | 3.65 | 1.20 | 1.31 | 1.61 |
| 20:00 | 336 | კასტელონი-სალამანკა | 2.00 | 2.90 | 3.80 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 20:00 | 338 | ეხიდო-გრანადა | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 20:00 | 342 | ალბასეტე-ტარაგონა | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 15:00 | 343 | ნუმანსია-ხელტა | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 345 | ვალენსიენი-ბორდო | 2.90 | 2.90 | 2.50 | 1.45 | 1.34 | 1.34 |
| 23:00 | 347 | ტულუზი-ლე მანი | 2.65 | 2.90 | 2.70 | 1.38 | 1.33 | 1.39 |
| 23:00 | 349 | სტრასბური-ლილი | 2.70 | 2.80 | 2.80 | 1.37 | 1.37 | 1.39 |
| 23:00 | 350 | ნიცა-ლორიანი | 1.95 | 3.00 | 4.10 | 1.18 | 1.32 | 1.73 |
| 20:10 | 351 | ნანსი-მეცი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 23:00 | 352 | კაენი-მონაკო | 2.65 | 2.90 | 2.80 | 1.38 | 1.36 | 1.42 |
| 23:00 | 355 | ოსერი-სტ.ეტიენი | 2.15 | 2.90 | 3.60 | 1.23 | 1.34 | 1.60 |
| 23:00 | 356 | მარსელი-სოშო | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 348 | რენი-ლანსი | 2.15 | 2.90 | 3.55 | 1.23 | 1.33 | 1.59 |
| 23:45 | 353 | ლიონი-პსჟ | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 358 | კლერმანი-აიაჩო | 1.90 | 3.10 | 4.10 | 1.17 | 1.29 | 1.76 |
| 23:00 | 359 | სედანი-ამიენი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 23:00 | 360 | რეიმსი-ანჟე | 2.00 | 2.90 | 3.90 | 1.18 | 1.32 | 1.66 |
| 23:00 | 361 | ლე ავრი-ბულონი | 1.40 | 3.80 | 8.30 | 1.02 | 1.19 | 2.60 |
| 23:00 | 362 | ნანტი-დიჟონი | 1.45 | 3.60 | 7.30 | 1.03 | 1.20 | 2.41 |
| 23:00 | 363 | გენიონი-გრენობლი | 3.50 | 2.80 | 2.20 | 1.55 | 1.35 | 1.23 |
| 23:00 | 364 | ბასტია-გენგამი | 1.80 | 3.10 | 4.15 | 1.13 | 1.25 | 1.77 |
| 23:00 | 365 | შატორუ-მონპელიე | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 23:00 | 366 | ბრესტი-ნიორი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 23:00 | 367 | ლიბურნი-ტრუა | 3.20 | 2.80 | 2.25 | 1.49 | 1.32 | 1.24 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 372 | გენკი-მუსკრონი | 1.80 | 3.40 | 3.90 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 368 | შარლერუა-ლოკერენი | 2.05 | 3.25 | 3.25 | 1.25 | 1.25 | 1.62 |
| 23:00 | 369 | დენდერი-ბრიუგე | 4.40 | 3.40 | 1.70 | 1.91 | 1.22 | 1.13 |
| 23:00 | 371 | ბრიუსელი-ბეერსხოტი | 3.40 | 3.25 | 2.00 | 1.66 | 1.25 | 1.23 |
| 23:00 | 374 | რუზელარე-ვესტერლო | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:00 | 377 | ვარეგემი-სტ.ტრუიდენი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 23:00 | 378 | სერკლი-მეხელენი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 373 | გენტი-ანდერლეხტი | 2.45 | 3.25 | 2.60 | 1.39 | 1.26 | 1.44 |
| 23:30 | 375 | სტანდარდი-მონსი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 389 | ვიტესი-ბრედა | 2.35 | 3.25 | 2.70 | 1.36 | 1.25 | 1.47 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 390 | ჰერენვენი-როდა | 1.75 | 3.35 | 4.25 | 1.14 | 1.23 | 1.87 |
| 22:30 | 391 | ალკმაარი-გრააფსხაპი | 1.55 | 3.50 | 5.60 | 1.07 | 1.21 | 2.15 |
| 22:30 | 392 | პსვ-გრონინგენი | 1.40 | 3.80 | 7.20 | 1.02 | 1.17 | 2.48 |
| 22:30 | 393 | ექსელსიორი-უტრეხტი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 394 | სპარტა-ფეიენოორდი | 4.40 | 3.40 | 1.70 | 1.91 | 1.22 | 1.13 |
| 17:30 | 395 | ტილბურგი-ჰერაკლესი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 17:30 | 396 | ტვენტე-აიაქსი | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 17:30 | 397 | ვენლო-ნაიმეგენი | 2.50 | 3.25 | 2.50 | 1.41 | 1.25 | 1.41 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 398 | კამბური-დენ ბოსხი | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 23:00 | 399 | ვოლენდამი-ოსი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 23:00 | 400 | ჰელმონდი-ვალვაიკი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 23:00 | 401 | მაასტრიხტი-ემენი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 23:00 | 402 | ზვოლე-ტელსტარი | 1.55 | 3.80 | 5.00 | 1.10 | 1.18 | 2.15 |
| 23:00 | 403 | დენ ჰააგი-ჰაარლემი | 1.35 | 4.20 | 7.20 | 1.02 | 1.13 | 2.65 |
| 23:00 | 404 | როზენდალი-დორდრეხტი | 1.85 | 3.35 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.78 |
| 23:00 | 405 | ომნივორლდი-ეინდჰოვენი | 1.50 | 3.55 | 5.75 | 1.05 | 1.18 | 2.19 |
| 23:00 | 406 | ვეენდამი-სიტარდი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 407 | აპელდორნი-იგლზი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 18:45 | 408 | ატრომიტოსი-ერგოტელისი | 1.75 | 3.30 | 4.25 | 1.14 | 1.23 | 1.85 |
| 21:00 | 409 | პანათინაიკოსი-ირაკლისი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 21:00 | 410 | ვერია-პაოკ | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 411 | პანიონიოსი-ასტერას ტრიპოლისი | 2.00 | 3.00 | 3.65 | 1.20 | 1.29 | 1.64 |
| 18:45 | 412 | ოფი-ქსანთი | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 18:45 | 413 | ლევადეიაკოსი-ოლიმპიაკოსი | 9.20 | 4.35 | 1.30 | 2.95 | 1.13 | 1.00 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 414 | კალამარია-აეკ | 5.00 | 3.30 | 1.65 | 1.98 | 1.24 | 1.10 |
| 21:00 | 415 | არისი-ლარისა | 1.60 | 3.25 | 5.65 | 1.07 | 1.24 | 2.06 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 428 | კრილია-ცსკა | 3.50 | 2.80 | 2.15 | 1.55 | [illegible] | [illegible] |
| 17:00 | 429 | სატურნი-ტერეკი | 1.45 | 3.60 | 6.80 | 1.03 | 1.19 | 2.35 |
| 17:00 | 430 | სპარტაკი მ-ტომსკი | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 17:00 | 431 | შინიკი-ლოკომოტივი მ | 2.80 | 2.70 | 2.60 | 1.37 | 1.34 | 1.32 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 432 | რუბინი-ენერგია | 1.45 | 3.60 | 6.80 | 1.03 | 1.19 | 2.35 |
| 17:00 | 433 | ნალჩიკი-ამკარი | 2.35 | 2.70 | 3.30 | 1.25 | 1.37 | 1.48 |
| 17:00 | 434 | დინამო მ-ხიმკი | 1.55 | 3.40 | 5.80 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| 17:00 | 435 | მოსკოვი-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.40 | 1.44 | 1.33 | 1.29 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 440 | ზაგლებე ს-ლოძი | 2.20 | 3.10 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 23:00 | 441 | ბელხატუვი-ლეხი | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 436 | კორონა-იაგელონია | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| 22:00 | 437 | ვისლა-ოდრა | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 20:00 | 438 | ზაგლებე ლ-რუხი | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 19:00 | 439 | გროცლინი-კრაკოვია | 1.35 | 3.90 | 7.30 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 19:00 | 442 | პოლონია-გურნიკი | 2.85 | 3.00 | 2.35 | 1.46 | 1.28 | 1.31 |
| 19:00 | 443 | ვიძევი-ლეგია | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 444 | ლიბერეცი-სიგმა | 1.65 | 3.35 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 2.00 |
| 20:00 | 445 | ბოჰემიანსი -ბოლესლავი | 2.50 | 2.90 | 2.80 | 1.34 | 1.32 | 1.42 |
| 20:00 | 446 | ბანიკი-ჟიჟკოვი | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 20:00 | 447 | სპარტა-იაბლონეცი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 20:00 | 451 | მოსტი-ბუდეიოვიცე | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 448 | პლზენი-ტეპლიცე | 2.50 | 2.90 | 2.80 | 1.34 | 1.32 | 1.42 |
| 20:00 | 450 | ბრნო-კლადნო | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 20:15 | 449 | ზლინი-სლავია | 4.50 | 3.20 | 1.75 | 1.87 | 1.25 | 1.13 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 146 | ლიუნგბიუ-ოდენსე | 5.70 | 3.80 | 1.50 | 2.27 | 1.18 | 1.07 |
| 19:00 | 147 | ორჰუსი-რანდერსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 148 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 2.85 | 3.30 | 2.25 | 1.52 | 1.25 | 1.33 |
| 21:00 | 149 | ბრონდბიუ-მიდტიულანდი | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 16:00 | 464 | სკივე-ჰერფიოლგე | 3.80 | 3.40 | 1.80 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 16:00 | 465 | იოლსტიკე-ჰელერუპი | 2.85 | 3.40 | 2.25 | 1.55 | 1.25 | 1.35 |
| 14:45 | 466 | ჰვიდოვრე-აკადემისკი | 2.55 | 3.30 | 2.40 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 16:00 | 467 | ფრემი-სანდერილანდი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 18:00 | 468 | ვეილე-ფრედერისია | 1.40 | 4.20 | 6.35 | 1.04 | 1.14 | 2.52 |
| 18:00 | 469 | ნესტვედი-კოლდინგი | 2.35 | 3.40 | 2.60 | 1.38 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 470 | სილკებორგი-ორჰუსი ფრ | 1.22 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.07 | 3.21 |
| 18:00 | 471 | კიოგე-ლოლანდი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 480 | შემროკი-ბრეი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 23:30 | 481 | კორკი-დერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:45 | 482 | დროგედა-კობი | 1.40 | 3.80 | 8.00 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| 23:45 | 483 | სტ.პატრიკსი-გალვეი | 1.55 | 3.50 | 5.75 | 1.07 | 1.22 | 2.17 |
| 23:45 | 484 | ფინ ჰარფსი-დუბლინი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 485 | სლიგო-ბოჰემიანი | 2.80 | 3.15 | 2.35 | 1.48 | 1.27 | 1.34 |
| | | იაპონია. თასი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 08:00 | 713 | კავასაკი-იჩიჰარა | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 09:00 | 714 | ნაგოია-კუიტო | 1.95 | 3.25 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 10:00 | 715 | ვერდი-ივატა | 2.80 | 3.25 | 2.25 | 1.50 | 1.24 | 1.32 |
| 10:00 | 716 | შიმიცუ-ტოკიო | 1.90 | 3.35 | 3.60 | 1.21 | 1.24 | 1.73 |
| 10:00 | 717 | იოკოჰამა ფმ-ოიტა | 1.70 | 3.45 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.95 |
| 11:00 | 718 | ურავა-კობე | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 11:00 | 719 | კაშივა-საპორო | 1.75 | 3.40 | 4.15 | 1.15 | 1.23 | 1.86 |
| 11:00 | 720 | ნიიგატა-ომია | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 515 | ვალენსია-ბარსელონა | 3.30 | 3.20 | 2.20 | 1.62 | 1.32 | 1.30 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 730 | სეტუბალი-სპორტინგი | 3.85 | 3.20 | 1.90 | 1.74 | 1.27 | 1.19 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 19:45 | 128 | არისი-ქსანთი | 1.75 | 3.10 | 4.25 | 1.11 | 1.23 | 1.79 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 699 | დეპორტივო კ-ლანუსი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 23:45 | 700 | სპორტივო ლუქუენო-სან პაოლო | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 23:45 | 701 | კოლო კოლო-ბოკა ხუნიორსი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 732 | ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 1.55 | 4.00 | 3.75 | 1.11 | 1.09 | 1.93 |



# ნაკრების კაპიტანს თურქეთი მოსწონს

**გუშინ** საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების ჩასატარებლად წავიდა და 21-23 მარტს სამ შეხვედრას გამართავს. 13-კაციან შემადგენლობაში ერთადერთი ლეგიონერი, ნაკრების კაპიტანი გაგა სამყურაშვილია, ვინც ახლახან თურქეთის პირველი ლიგის რიზეს გუნდ „ჩაიკურში" გადავიდა და სეზონის ბოლომდე იქ იქნება. მასთან ერთად წავიდა მეორე სტუელი ლევან ბერძენიშვილი. გაგა სამყურაშვილმა კი ესპანეთში გამგზავრებამდე ეს გვითხრა:

„თურქული გუნდის წარმომადგენლები მოვიდნენ და თქვეს, რომ ორი ხელბურთელი სჭირდებოდათ — მეკარე და მოედნის მოთამაშე. თურქეთში მე და ლევან ბერძენიშვილი წავედით. სხვათა შორის, ჩვენი გუნდი იმ ჯგუფში ატარებდა თამაშებს, რომელშიც „ორმანი" გამოდის თავისი ქართველი ლეგიონერებით. მათ უკვე დასაკუთრებული ჰქონდათ პლეი ოფის საგზური. სადებიუტო ორი თამაში მოვიგეთ და პლეი ოფში „ჩაიკურიც" გავიდა. ლეგიონერები მხოლოდ ქართველები ვართ, ისე კი, 4 იქაური ხელბურთელით გაძლიერდნენ. შემადგენლობა საკმაოდ კარგი გვყავს და უმაღლეს ლიგაში გადასვლა გვაქვს მიზნად დასახული.

**— ნაკრების თამაშებზე რას იტყვი, ესპანეთში სერიოზული მეტოქეები გეყოლებათ?**

— ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კარგად გამოვიდეთ, თუმც წინასწარ რამის თქმა ძნელია. ვიცი, რომ ჩვენს ჯგუფში არაერთი ძლიერი ნაკრებია. ვნახოთ, რა იქნება...

**ლექსო მაისურაძე**

სუმო

# კოკაი აღმასვლას აგრძელებს

**ოსაკას** ბაშოზე ლევან ცაგურიამ 21 წლის და 8 გამარჯვების პატრონი ტოჩიომანი იორიკირით დაამარცხა და წოდებაში აღმასვლა გაინაღდა. კოკაის ამ სუპერტურნირზე დადებითი ბალანსი აქვს. ჩვენებურს ტოჩიომინის ძლევის შემდეგ 8 გამარჯვება მოუგროვდა. ამგვარად მან ტურნირის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე დაიბევა კატიკოსი, ანუ დადებითი ბალანსი. კოკაის მომავალი ჯახი 21 წლის იაპონელ გოეიდოსთან ექნება. გოეიდო ოსაკელია და მაყურებელთა გულშემატკივრობა არ მოაკლდება, მაგრამ მაინც ქართველ ფალავანს არ უნდა გაუჭირდეს მასთან შერკინება.

ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი კვლავაც იოკოძუნა ასასორიუა. მან ამ ტურშიც იმარჯვა და 11 შეხვედრის შემდეგაც ასპროცენტიანი შედეგით იწონებს თავს. დიდ მონღოლს კვალში ჯეელი თანამემამულე ხაკუხო უდგას 10 მოგებული ორთაბრძოლით.

ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე ლევან გორგაძემ კი ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია კიოკუნაკაისთან. მან იორიკირით წააგო და 4 მარცხი მოუგროვდა 7 გამარჯვების წილ. ტოჩინოშინად წოდებული გორგაძე ბაშოს ალბათ დადებითი ბალანსით დაასრულებს, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდება მაკუჩი დივიზიონში ასასხლეტად.

**ზურაბ მიგრიაული**

ჭიდაობა

# ფინეთამდე ბორჯომი იქნება

**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავეთა ნაკრები თბილისური მოსამზადებელი შეკრების შემდეგ დღეს ბორჯომში გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატისწინა ვარჯიშების ჩასატარებლად. ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას განკარგულებაში ყველა წამყვანი მოჭიდავეა, საბოლოო საევროპო შემადგენლობა კი ჯერაც არ გაცხადებულა. მათი ვინაობა კვირის ბოლოსთვის გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ რამაზ ნოზაძემ (96კგ) ტრავმა მოიშუშა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. რაც შეეხება თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, ისინი ამ დრომდე ბორჯომში რჩებიან და ევროპირველობაზე წასვლის წინ ჩამოვლენ თბილისში. ორივე ნაკრებს ბებერი კონტინენტის პირველობა 1-6 აპრილს ფინეთის ქალაქ ტამპერეში ელის.

**ლექსო მაისურაძე**



# ქართული კალათბურთის მაკაბიადა
## ჯამლეთ ხუხაშვილმა ყველა დააჯილდოვა

**ფინალი**

**მაკაბი 87:81 ბუდეველნიკი**

**21:15 23:21 22:15 21:20**

მაკაბი: ი. ბერიშვილი (4), ტულუში (11), ბარბაქაძე (13), სანიკიძე (15 ქულა 11 მოხსნა), გ. შერმადინი (31); ნიკოლაძე (9), ს. შერმადინი (4)

ბუდეველნიკი: კრავეცი (4), ბალაშოვი (10), კოვალენკო (7 ქულა, 11 მოხსნა), იაილო (13), ორლენკო (2); ბრიანცევი (9), სტეფანიშინი (16), ნერუში (4), გორბენკო (12), ზაბირჩენკო (4)

*მსაჯები: დავიდ ბერეკაშვილი, ასიმ ბაგიშოვი*

*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**მესამე ადგილისთვის**

**ჰაპოელი 82:85 ნტდ-სერვისი**



თბილისის „მაკაბის" ტრიუმფით დასრულდა კოტე მახარაძის სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი. ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდმა საკმაოდ საინტერესო და სანახაობრივ მატჩში უკრაინული სუპერლიგის „ბუდეველნიკი" დაამარცხა, რითაც საკლუბო დონეზე შერცხვენილ ქართულ საკლუბო კალათბურთს გარკვეულწილად ნამუსი მოწმინდა.

გარკვეულწილად იმიტომ, რომ ეს არ გახლდათ ოფიციალური ტურნირი და ასეთ მატჩებში ძნელია, გუნდის რეალური ძალა განსაზღვრო. კიეველები თბილისიდან პირდაპირ უკრაინის ჩემპიონატის მორიგი ტურის სათამაშოდ მიდიან კრივოი როგში და ცხადია, მახარაძის მემორიალის მოგებაზე მეტად „კრივბასთან" 2 ქულის აღება უჯობთ. ეს არც დამალა უკრაინელთა მწვრთნელმა ევგენი მურზინმა, თუმც ნახევარფინალისგან განსხვავებით „მაკაბისთან" დიდი მონდომებით ათამაშა „ბუდეველნიკი".

„მაკაბიმ" თავიდანვე მძლავრად შეუტია — გიორგი შერმადინი სამწამიანში აქტიურობდა, ვისაც დავით ბარბაქაძე უმაგრებდა ზურგს, ხოლო ვიქტორ სანიკიძე და კოტე ტულუში პერიმეტრიდან ჩხვლეტდნენ კიეველებს. შერმადინი თავიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა „ბუდეველნიკის" 217-სანტიმეტრიან ცენტრ ვლადიმირ ორლენკოსგან, თუმცა სადებიუტო „მოთელვის" შემდეგ ჩვენებურმა იძალა. შერმადინი იმდენად აგრესიული იყო ფარქვეშ, რომ ორლენკოსაც ამისკენ უბიძგებდა. ხოლო მსაჯები უკრაინულ გოლიათს არაფერს პატიობდნენ და შერმადინის მეურვეს ჯარიმები თავიდანვე ჭარბად დაუგროვდა.

რაკი ჯარიმები ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სტუმრები გვარიანად უკმაყოფილონი იყვნენ მსაჯობით. უკრაინელებმა „მაკაბისთან" მატჩში ალბათ ყველაზე მძაფრად იწვნიეს ეს დაუწერელი ჭეშმარიტება — მსაჯები მასპინძლებს უფრო სწყალობდნენ.

ორლენკო სათადარიგოებში გაიხმო მწვრთნელმა მურზინმა, მის მოედნიდან ნაადრევ გავარდნას მოერიდა და ამით შერმადინს ხელები გაეხსნა. მეორე მეოთხედის შუაში თბილისელთა უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია, ხოლო დიდ შესვენებაზე „მაკაბი" 44:36 ლიდერობით გავიდა.

შესვენებიდან კიეველები უკეთ შემართულნი დაბრუნდნენ, სერგეი მორბენკო, ლეონიდ სტეფანიშინი და მაქსიმ ბალოშოვი პერიმეტრზე ჩასაფრდნენ და „ბუდეველნიკმა", სამქულიანებით სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა. ჩვენები აშკარად დაიღალნენ, თუმც ჯამლეტ ხუხაშვილი წუთშესვენებებით ცდილობდა შეგირდების დასვენებას — აბა, სათადარიგოთა სკამზე მას ერთიორი მოთამაშე თუ ეგულებოდა ისეთი, ძირითადი ხუთეულის წევრებს ღირსეულად რომ შეცვლიდა.

თუმც მარქაფებშიც აღმოჩნდა მარჯვე მოთამაშე. გიორგი ნიკოლაძე სწორედ მაშინ შეეწია „მაკაბის" სამქულიანებით, როცა კიეველებმა თამაში გარდატეხეს. იმ მომენტში მცირე ლიდერობის შენარჩუნების მიუხედავად, ჩვენებს მაინც მოუხდათ ანერვიულება. უკრაინის ნაკრების კანდიდატი ლეონიდ სტეპანიშინი მოულოდნელად აბობოქრდა და რაგინდარა ადგილებიდან იწყო „მაკაბის" კალათის დაბომბვა. შედეგად ანგარიში გათანაბრდა, ხოლო საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე ბალოშოვის სამქულიანმა კიეველები ამ მატჩში პირველად დააწინაურა — 70:69.




მაკაბელი დავით ბარბაქაძე ფარქვეშ შეფრინდა

„მაკაბი" წაგების რეალური საფრთხის წინაშე დადგა, თუმცა გადამწყვეტ ეპიზოდში ჩვენები ეროთიანად ათამაშდნენ. ვიქტორ სანიკიძემ უმნიშვნელოვანესი სამიანი ჩააგდო, შერმადინმა და ბარბაქაძემაც შედეგიანად დააგვირგვინეს შეტევები და როცა გიორგი ნიკოლაძემ თავის რიგით მესამე სამქულიანი ჩააგდო, ჩვენებურთა გამარჯვება სტუმრებმაც დაიჯერეს.

ნამატჩევს მოეწყო დიდი, უფრო კი ხანგრძლივი დაჯილდოების ცერემონიალი. ტურნირის სპონსორების წყალობით ყველა გუნდი და გამორჩეული მოთამაშეები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ტურნირის საუკეთესო მოთამაშის სარგო მთავარი პრიზი დამსახურებულად ერგო „მაკაბის" 214-სანტიმეტრიან ცენტრ გიორგი შერმადინს, რომელმაც ამავდროულად ბომბარდირობაც ითავა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონმა რაკეტა მიწიზე დაანარცხა

18 მარტი

**ჰიუსტონი 74:94 ბოსტონი**

ჰიუსტონი: სკოლა (15), ელსტონი (12), ჰარისი (12)
ბოსტონი: გარნეტი (22 ქულა, 11 მოხსნა), პოუი (21), პირსი (20)

**დალასი 100:102 ლეიკერსი**

დალასი: ნოვიცკი (35 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), ჰოვარდი (19), ტერი (19)
ლეიკერსი: ბრაიანტი (29), რადმანოვიჩი (21 ქულა, 10 მოხსნა), ოდომი (17 ქულა, 17 მოხსნა)

**პორტლენდი 98:111 ფინიქსი**

პორტლენდი: ოლდრიჯი (31)
ფინიქსი: სტუდემაიერი (25), ნეში (22), ონილი (16 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი, 3 დაფარება)

**დეტროიტი 136:120 დენვერი**

დეტროიტი: ჰამილტონი (24), ვოლესი (21), მაქსეილი (18), ჰეიესი (17)
დენვერი: ენტონი (27), აივერსონი (20 ქულა, 11 პასი), მარტინი (16)

**მილუოკი 106:112 მაიამი**

მილუოკი: რედი (27), უილიამსი (26 ქულა, 11 პასი), ბელი (15)
მაიამი: უილიამსი (21 ქულა, 10 პასი), ქუინი (17), ბარონი (16)

**საკრამენტო 122:105 გ. სტეიტი**

საკრამენტო: მარტინი (34), არტესტი (26), მური (19 ქულა, 10 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: დევისი (24)

**ჩიკაგო 112:96 ნიუ ჯერსი**

ჩიკაგო: დენგი (20), გედენი (19 ქულა, 11 მოხსნა), გორდონი (17), ჰიუზი (16)
ნიუ ჯერსი: კარტერი (22), ჯეფერსონი (21), უილიამსი (16)

**შეუჩერებელი** ჰიუსტონელი „რაკეტები" ნბა-ს საუკეთესო გუნდმა შეაჩერა. ბოსტონელმა „კელტებმა" ზედიზედ 22 გამარჯვების შემდეგ დაუშვეს „რაკეტები" მიწაზე, თანაც მათსავე „ტოიოტა სენთერში" და აგრძნობინეს, თქვენც ჩვეულებრივი მოკვდავები ხართო.

„ბოსტონს" „ჰიუსტონი" ორი თვის წინ შინაც ეძლია და გარნეტი და კომპანიაც ახლა ამ იმედით ჩავიდა კოსმოდრომით და ნასა-ს ცენტრით განთქმულ ქალაქში. თამაში დაძაბული გამოდგა, მაგრამ თანაბარმა ბრძოლამ მხოლოდ ერთი ტაიმი გასტანა. გუნდებმა დიდი შესვენება 40:40 ანგარიშით მიატანეს, მესამე მეოთხედში კი სტუმრებმა ორი ვარსკვლავის — კევინ გარნეტისა და პოლ პირსის მეცადინეობით შეტევაში იძალეს და ამ მეოთხედის 32:16 მოგებით გადაწყვიტეს მატჩის ბედი. სტუმრებს საიმედოდ ამოექეტათ უმთავრესი „რაკეტა" ტრეისი მაკგრეიდი, ვინც მატჩი 8 ქულით ჩაამთავრა, რაფერ ელსტონი კი ჯადოქარი არაა, ყოველ შეხვედრაში 7-8 სამქულიანი აგდოს. შეტევაში რომ წახდნენ, ჰიუსტონელებმა დაცვაში უხეშობას მიჰყვეს ხელი და ერთ ეპიზოდში მათმა არგენტინელმა თავდამსხმელმა ლუის სკოლამ ისეთი ჩასცხო ბოსტონელ ტონი ალენს, ტყლაშანის ხმა ქანდარაზე, 10-დოლარიან ადგილებზე მსხდომებმაც გაიგონეს.

რა იყო ამ 22-თამაშიანი წაუგებელი სერიაში „ჰიუსტონის" მთავარი იარაღი? ძლიერი დაცვა. მაგრამ ახლა ეს გუნდი ამ მხრივ მასზე ძლიერ მეტოქეს გადაეყარა. მაკგრეიდიმ აღიარა, ასეთ გაუვალ დაცვასთან საქმე არასდროს დამჭერია, ჯოჯოხეთურად მაგარი გუნდია ეგ „ბოსტონიო".

რაფერ ელსტონი ნაკლებ ნაწყენი ჩანდა 27 იანვრის შემდეგ პირველი დამარცხებით. ამბობდა, მიჯრით 22 გამარჯვებაც გადასარევი რამეა, ახლა ჩვენ გვაქვს ჩვენი ლამაზი ზღაპარი, რომელსაც შვილიშვილებს მოვუყვებითო. ეტყობა, რომ თავმდაბალი კაცია და ბედნიერებისთვის ცოტაც ჰყოფნის. მერე დასძინა, პლეი ოფში რომ გავიდეთ, ესეც კარგი იქნება ჩვენთვისო.

რა პლეი ოფში გასვლა!... მისი გუნდი 22-მატჩა ზღაპარ-სერიის წყალობით დასავლეთში მე-9 ადგილიდან პირველზე ალზევდა და მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის ცხრილში არნახული სიმჭიდროვეა, ალბათ პლეი ოფში გასვლა მაინც არ უნდა გაუჭირდეს.

ისე კი, მიყოლებით 22 გამარჯვება მეორე საუკეთესო სერიაა ნბა-ს ისტორიაში. მიჯრით ამაზე მეტი მხოლოდ „ლეიკერსს" მოუგია 1971-72 სეზონში, როცა ამ გუნდს კალათბურთის დიდების დარბაზის ოთხი მომავალი წევრი ჰყავდა.

ამასობაში „ჰიუსტონის" წაფორხილებით ისარგებლა დასავლეთის ყოფილმა ლიდერმა „ლეიკერსმა", დალასში იქაური „მავერიკსი" პაუ გასოლის გარეშე დაამარცხა და კვლავ ჩაეზიარა „როკიტსს" ლიდერობაში. ამას წინათ იყო, კობი ბრაიანტი 52 ქულა რომ უყელა „დალასს" და ამ ქალაქში ყველაზე საძულველი ადამიანის სტატუსი გაიმყარა. მას ყოველთვის კარგად გამოსდიოდა ამ გუნდთან თამაში, მაგრამ ახლანდელი შეხვედრის სცენარი თითქოს მისგან სასწაულებს არ საჭიროებდა. „ლეიკერსი" ესედაც იოლად უგებდა „მავერიკსს" და მესამე მეოთხედში უკვე 25 ქულით იყო წინ, მაგრამ მასპინძლები უცებ გონს მოეგონენ, დირკ ნოვიცკი თავადაც ათამაშდა და სხვებიც აიყოლია და „ლეიკერსს" ამხელა უპირატესობა როდეოს მტვერივით შემოეფანტა. მაგრამ ბოლო მაინც „ლეიკერსისა" იყო, რომელსაც სულზე მიუსწრო ვლად რადმანოვიჩის სამქულიანებმა.

ბოლოს და ბოლოს შაკილ ონილიც შეეწყო ახალ გუნდ „ფინიქსს". მანამდე ის იმ ხელოვნურად გადანერგილ ორგანოს ჰგავდა, რომელიც ორგანიზმმა ვერ შეიხორცა. მაგრამ თანდათან ყველაფერი დალაგდა და შაკის კაუჭებიც მეტოქის კალათში ჩალაგდა. მან პორტლენდში იქაური „ბლეიზერსის" მაღალი ბიჭები გვარიანად გააწამა, ცენტრ ჯოელ პრჟიბილასთან კინკლაობაც მოასწრო და „ფინიქსის" ზედიზედ მეხუთე გამარჯვებაში სოლიდური წვლილი შეიტანა.

**ძოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | | დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ბოსტონი* | 54 | 13 | 80,6 | *ჰიუსტონი* | 46 | 21 | 68,7 |
| *დეტროიტი* | 49 | 18 | 73,1 | *ლეიკერსი* | 46 | 21 | 68,7 |
| *ორლანდო* | 45 | 24 | 65,2 | ნიუ ორლეანი | 45 | 21 | 68,2 |
| კლივლენდი | 38 | 30 | 55,9 | *იუტა* | 45 | 24 | 65,2 |
| ტორონტო | 34 | 33 | 50,7 | ფინიქსი | 45 | 22 | 67,2 |
| ვაშინგტონი | 33 | 33 | 50,0 | სან ანტონიო | 44 | 23 | 65,7 |
| ფილადელფია | 33 | 34 | 49,3 | დალასი | 44 | 24 | 64,7 |
| ატლანტა | 29 | 38 | 43,3 | გოლდენ სტეიტი | 41 | 25 | 62,1 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 39 | 41,8 | დენვერი | 40 | 27 | 59,7 |
| ჩიკაგო | 27 | 40 | 40,3 | პორტლენდი | 35 | 33 | 51,5 |
| ინდიანა | 26 | 41 | 38,8 | საკრამენტო | 31 | 36 | 46,3 |
| შარლოტი | 24 | 43 | 35,8 | კლიპერსი | 21 | 45 | 31,8 |
| მილუოკი | 23 | 44 | 34,3 | მემფისი | 16 | 50 | 24,2 |
| ნიუ იორკი | 19 | 48 | 28,4 | მინესოტა | 16 | 50 | 24,2 |
| მაიამი | 12 | 54 | 18,2 | სიეტლი | 16 | 51 | 23,9 |

*პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამი დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გავიდნენ პლეი ოფში*



შაყილ ონილი ბებერი ლომივით იბრძვის



## NHL რეგულარული ჩემპიონატი



ალექსანდრ ოვეჩკინმა პირველმა გადალახა ასქულიანი ბარიერი

18 მარტი

**აილენდერსი 1:3 ტორონტო**

*1:0 0:0 0:3*

1:0 დევისონი (14), 1:1 ველვუდი (48), 1:2 კუბინა (52), 1:3 პონიკაროვსკი (60)

**ედმონტონი 8:4 ფინიქსი**

*3:2 1:1 4:1*

0:1 მორისი (5), 1:1 გილბერტი (5), 1:2 დოუნი (9), 2:2 განიე (18), 3:2 ნილსონი (20), 4:2 ბროძიაკი (26), 4:3 ვინიკი (39), 4:4 მიულერი (45), 5:4 პენერი (48), 6:4 გლენკროსი (50), 7:4 გლენკროსი (53), 8:4 სტოლი (57)

**კოლუმბუსი 3:0 კალგარი**

*1:0 0:0 2:0*

1:0 ნეში (4), 2:0 მალჰოტრა (46), 3:0 მალჰოტრა (47)

**რეინჯერსი 5:2 პიტსბურგი**

*2:0 1:2 2:0*

1:0 ევერი (12), 2:0 კალაჰანი (12), 2:1 რუუტუ (22), 2:2 სტაალი (24), 3:2 შოსტრომი (24), 4:2 ევერი (46), 5:2 სტრაკა (52)

**ფილადელფია 3:2 ატლანტა**

*1:1 1:0 1:1*

0:1 ტორბურნი (1), 1:1 რიჩარდსი (7), 2:1 კარტერი (40), 3:1 პროსპალი (49), 3:2 კოვალჩუკი (60)

**მონრეალი 3:4 სენტ ლუისი**

*1:1 1:2 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 ტკაჩაკი (5), 1:1 ჰიგინსი (12), 2:1 კოივუ (30), 2:2 მაკდონალდი (31), 2:3 ბოისი (36), 3:3 გრაბოვსკი (47)

**ნეშვილი 2:4 ვაშინგტონი**

*0:3 1:0 1:1*

0:1 სიომინი (7), 0:2 ბექსტრიომი (10), 0:3 ბრედლი (15), 1:3 დიუმონი (25), 2:3 არნოტი (53), 2:4 ოვეჩკინი (60)

**ლოს ანჯელესი 1:2 სან ხოსე**

*0:1 0:1 1:0*

0:1 ტორნტონი (18), 0:2 რისმილერი (37), 1:2 ვიშნოვსკი (56)

| აღმოსავლეთი | | | | | | | დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 72 | 42 | 24 | 6 | 188:168 | 90 | დეტროიტი | 73 | 47 | 20 | 6 | 229:165 | 100 |
| მონრეალი | 74 | 40 | 24 | 10 | 233:204 | 90 | სან ხოსე | 73 | 43 | 21 | 9 | 194:170 | 95 |
| კაროლინა | 74 | 39 | 30 | 5 | 225:229 | 83 | მინესოტა | 73 | 39 | 26 | 8 | 195:195 | 86 |
| პიტსბურგი | 73 | 41 | 25 | 7 | 222:201 | 89 | ანაჰაიმი | 74 | 41 | 25 | 8 | 187:176 | 90 |
| ოტავა | 73 | 40 | 26 | 7 | 231:215 | 87 | დალასი | 74 | 42 | 27 | 5 | 218:185 | 89 |
| რეინჯერსი | 73 | 38 | 26 | 9 | 193:179 | 85 | ვანკუვერი | 73 | 37 | 26 | 10 | 193:184 | 84 |
| ბოსტონი | 73 | 37 | 27 | 9 | 189:202 | 83 | კალგარი | 73 | 37 | 26 | 10 | 205:204 | 84 |
| ფილადელფია | 74 | 36 | 28 | 10 | 223:216 | 82 | კოლორადო | 74 | 39 | 29 | 6 | 202:195 | 84 |
| ვაშინგტონი | 74 | 36 | 30 | 8 | 216:215 | 80 | ნეშვილი | 74 | 36 | 30 | 8 | 212:213 | 80 |
| ბუფალო | 73 | 34 | 28 | 11 | 227:214 | 79 | ედმონტონი | 74 | 37 | 32 | 5 | 211:226 | 79 |
| ფლორიდა | 74 | 35 | 31 | 8 | 200:205 | 78 | კოლუმბუსი | 73 | 33 | 29 | 11 | 180:191 | 77 |
| ტორონტო | 74 | 33 | 31 | 10 | 208:228 | 76 | ფინიქსი | 74 | 36 | 33 | 5 | 194:203 | 77 |
| აილენდერსი | 74 | 32 | 35 | 7 | 177:222 | 71 | ჩიკაგო | 73 | 34 | 32 | 7 | 210:212 | 75 |
| ატლანტა | 75 | 31 | 36 | 8 | 198:249 | 70 | სენტ ლუისი | 73 | 30 | 32 | 11 | 180:213 | 71 |
| ტამპა | 72 | 29 | 35 | 8 | 203:230 | 66 | ლოს ანჯელესი | 74 | 28 | 40 | 6 | 205:239 | 62 |

*კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის მქონე გუნდს*

ბომბარდირები: ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 102 (58+44); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 97 (41+56); ჯერომ იგინლა (კალგარი) 87 (45+42); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 85 (37+48); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 84 (20+64); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 84 (28+56); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 83 (50+33); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 83 (30+53); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 80 (36+44); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 80 (37+43); მაიკ რიბეირო (დალასი) 77 (27+50); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 77 (23+54); მარკ სავარი (ბოსტონი) 77 (14+63); მატს სუნდინი (ტორონტო) 77 (32+45); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 75 (23+52); დენი ჰიტლი (ოტავა) 75 (36+39)

გოლეადორები: ოვეჩკინი 58; კოვალჩუკი 50; იგინლა 45; მალკინი 41; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი) 38; რიკ ნეში (კოლუმბუსი), ალფრედსონი, ლეკავალიე 37-37; ჰიტლი, ზეტერბერგი, გაბორიკი 36-36; სტაალი, პატრიკ შარპი (ჩიკაგო) 34-34; სუნდინი, ოლი იოკინენი (ფლორიდა) 32-32; კოვალიოვი, ვაცლავ პროსპალი (ფილადელფია) 31-31

ასისტენტები: ტორნტონი 64; სავარი 63; დაციუკი, მალკინი 56-56; ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი) 55; სენ ლუი 54; სპეცა, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 53; გეცლაფი 52; სკოტ გომესი (რეინჯერსი) 51; რიბეირო 50; ნიკლას ბექსტრიომი (ვაშინგტონი) 49; ლეკავალიე 48; სერგეი გონჩარი (პიტსბურგი), ბრაიან კემპბელი (სან ხოსე), პიერ-მარკ ბუშარი (მინესოტა) 47-47; პომინვილი 46

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლიდსტროიმი 39; დაციუკი 34; ჰიტლი 32; გეცლაფი 27; იგინლა, ზეტერბერგი, დანკან კიტი (ჩიკაგო) 26-26; სპეცა, დანიელ კლირი (დეტროიტი) 23-23; ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი), პარიზე, მეტიუ შნაიდერი (ანაჰაიმი), ნიკლას კრონვალი (დეტროიტი), ჯონი ოდუია (ნიუ ჯერსი), კენტ ჰასკინსი (ანაჰაიმი) 22-22; პოლ მარტინი (ნიუ ჯერსი) 21; იან ჰეიდა (კოლუმბუსი), ვალტერი ფილპულა (დეტროიტი), ოვეჩკინი, რიბეირო 20-20

მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: კრის ოზგუდი (დეტროიტი) 2,07; ევგენი ნაბოკვი (სან ხოსე) 2,13; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,13; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,15; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,18; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,22; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,25; მარტი ტურკო (დალასი) 2,28; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი) 2,30; ნიკლას ბექსტრიომი (მინესოტა) 2,39; ჟოზე ტეოდორი (კოლორადო) 2,39

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: ტაი კონკლინი (პიტსბურგი) 92,4; ლუონგო 92,2; ჟიგერი 92,2; ბროდო 92,2; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 92,0; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 92,0; ლეკლერი 91,9; კრისტობალ იუე (ვაშინგტონი) 91,8; ბექსტრიომი 91,7; დენ ელისი (ნეშვილი) 91,7; ტომაშ ვუკოუნი (ფლორიდა) 91,7

მოგებული მატჩები: ნაბოკოვი 41; ბროდო 40; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 35; ლუნდკვისტი 33; ლუონგო 33; კემ უორდი (კაროლინა) 33; რაიან მილერი (ბუფალო) 32; ჟიგერი 32; ვესა ტოსკალა (ტორონტო) 30; ტურკო 30

შათაუტები: ლუნდკვისტი, ლეკლერი 9-9; ლუონგო, ნაბოკოვი 6-6; ჟიგერი, ჰაშეკი, ელისი, მეტიუ გარონი (ედმონტონი), ბროდო, უორდი, მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 4-4

# საქართველომ რუსეთი დაათვრამეტიანა

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა იტალიურ ტრევიზოში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, გუშინ რუსეთის ნაკრები 25:6 მიანგრია და ახლა მე-5 ადგილისთვის მოუწევს ბრძოლა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჭაბუკები ელიტარულ 8-გუნდა დივიზიონში თამაშობენ. ჩვენებმა, გეხსომებათ, მეოთხედფინალური მატჩი მოქმედ ჩემპიონ ინგლისთან წააგეს, ახლა კი, როგორც ვთქვით, მე-5 ადგილისთვის ესპანეთის მომგებ რუმინეთს შეხვდებიან.

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველები მესამედ თამაშობენ. შარშანწინ ჩვენებმა მე-7 ადგილი დაიკავეს, შარშან კი შედეგი გააუმჯობესეს და ერთი ადგილით დაწინაურდნენ.

ჭაბუკ „ლელოებს" ახლა შანსი აქვთ, მე-5 ადგილზე გასვლით საგაისოდ უკეთესი კენჭისყრა დაიბევონ.

გუშინ წააგო მოქმედმა ჩემპიონმა ინგლისმა და მასპინძელ იტალიასთან მოუწევს ბრინჯაოსთვის რაგბობა. ფინალში ირლანდია და საფრანგეთი დაეჯახებიან. რუსეთი და ესპანეთი კი ელიტიდან გასავარდნის ვინაობას გაარკვევენ.

**ბაჩო სვანიძე**

| ნახევარფინალი |
|---|
| ირლანდია 8:3 ინგლისი |
| იტალია 15:22 საფრანგეთი |
| **5-8 ადგილებისთვის** |
| საქართველო 25:6 რუსეთი |
| რუმინეთი 24:12 ესპანეთი |
| **ფინალი** |
| ირლანდია — საფრანგეთი |
| **მე-3 ადგილისთვის** |
| იტალია — ინგლისი |
| **მე-5 ადგილისთვის** |
| საქართველო — რუმინეთი |
| **მე-7 ადგილისთვის** |
| ესპანეთი — რუსეთი |

ფიგურული სრიალი

# ელენემ ბეწვის ხიდზე გაიარა



**რაც** 18 წლის ქართველი მოციგურავე ელენე გედევანიშვილი დიდებში სრიალებს, ასეთი წარუმატებელი ტურნირი ჯერ არ ჰქონია. გიოტებორგში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე, გუშინ ქალებში მოკლე პროგრამის დღე იყო და ჩვენი ელენეც ბეწვზე გადაურჩა ჯგუფში ჩარჩენას.

მოკლე პროგრამისას ელენემ იმდენი შეცდომა დაუშვა, დიდებში სამ სეზონში ერთად აღებული რომ არ დაუშვია. შედეგად 18 წლის ქართველი 53 მოციგურავეს შორის ოდენ 23-ე იყო, შემდეგ ეტაპზე კი 24 საუკეთესო გავიდა.

თავში ვთქვით, რომ გედევანიშვილს ასეთი წარუმატებელი ტურნირი ჯერ არ ჰქონია. ახლა განვმარტოთ: დიდებში ელენე მესამე სეზონს ატარებს. 2006 წელს ტურინში გამართულ ზამთრის ოლიმპიადაზე ელენემ მე-10 ადგილი დაიკავა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-14, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე მე-5 იყო. შარშან ელენემ შედეგი გააუარესა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-17, ევროპის ჩემპიონატზე კი მე-8 ადგილი დაიკავა. წლეულს იანვარში გედევანიშვილმა თითქოს ძველი დროება დაიბრუნა და ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ადგილზე გავიდა. მაგრამ ახლა ყველაფერი წყალში ჩაყარა, ოცეულში შესვლაც კი სანატრელი გაუხდა. სტატისტიკით ევროსრიალზე ელენე მოკლე პროგრამის შემდეგ მე-8 ადგილზე დაბლა არ ჩამოსულა. მისი კოზირიც ეს იყო. ახლა კი...

„მარტის დასაწყისში ელენემ იავადმყოფა, თუმც ეს არ ამართლებს მის ამდენ შეცდომას. ვფიქრობ, ელენე რეჟიმიდან ამოვარდნილია და მკაცრი ხელი სჭირდება. მოგვიანებით აუცილებლად დავურეკავ და ცოტას შევაფუცხუნებ. კარგი იქნება, თუ თავისუფალ პროგრამას, როგორც საჭიროა, ისე შეასრულებს და რეაბილიტაციას მოახდენს. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ოცეულში მოხვედრა მისთვის საუკეთესო შედეგი იქნება" — გვითხრა საქართველოს ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ, გუშინ კომენტარისთვის რომ დავუკავშირდით.

დღეს გიოტებორგში თავისუფალი პროგრამის დღეა. იმედია, ელენე გედევანიშვილი მობილიზებას შესძლებს და დაამტკიცებს, რომ გუშინდელი წარუმატებლობა მხოლოდ შემთხვევითობა იყო. მანამდე კი ლიდერთა ამქარს ევროპის ჩემპიონი, იტალიელი კაროლინა კოსტნერი ლიდერობს. მას იაპონელები — მაო ასადა და იუკარი ნაკანო მისდევენ.

**ბაჩო სვანიძე**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კაროლინა კოსნერი (იტალია) | 64.28 |
| 2 | მაო ასადა (იაპონია) | 64.10 |
| 3 | იუკარი ნაკანო (ჩაპონია) | 61.10 |
| 4 | კირა კორპი (ფინეთი) | 60.58 |
| 5 | იუ-ნა კიმი (კორეა) | 59.85 |
| 6 | ჟოანი როშეტი (კანადა) | 59.53 |
| 7 | სარა მეიერი (შვეიცარია) | 59.49 |
| 8 | მიკი ანდო (იაპონია) | 50.21 |
| 9 | კიმი მეისნერი (აშშ) | 57.25 |
| 10 | ბეატრისა ლიანგი (აშშ) | 52.81 |
| 23 | **ელენე გედევანიშვილი** (საქართველო) | 44.06 |






# მელა საქათმეში დაბრუნდა

## როჯერ ფედერერს მოშიებია

| ქალები |
|---|
| ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი |
| საპრიზო 2 100 000 დოლარი |

**მეოთხე წრე**

**ანა ივანოვიჩი** (1, სერბეთი) — ფრანჩესკა შიავონე (13, იტალია) 2:6 7:5 6:2; **ვერა ზვონარიოვა** (12, რუსეთი) — კეისი დელაკუა (ავსტრალია) 6:7 6:0 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — ანაბელ მედინა-გარიგესი (22, ესპანეთი) 6:3 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (24, აშშ) — მარიონ ბარტოლი (6, საფრანგეთი) 6:2 7:5; **დანიელა ჰანტუხოვა** (5, სლოვაკეთი) — სანია მირზა (21, ინდოეთი) 6:1 7:6; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — ალონა ბონდარენკო (15, უკრაინა) 6:2 5:7 6:4; **აგნეშკა რადვანსკა** (10, პოლონეთი) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 4:6 6:2 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:2 6:3

| კაცები |
|---|
| ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი |
| საპრიზო 3 589 000 დოლარი |

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:1 6:1; **ივან ლიუბიჩიჩი** (23, ხორვატია) — ტომი რობრედო (15, ესპანეთი) 6:3 6:4; **ენდი მიურეი** (11, ბრიტანეთი) — ივო კარლოვიჩი (20, ხორვატია) 7:6 6:7 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ფერნანდო ვერდასკო (30, ესპანეთი) 7:6 4:6 6:1; **მარდი ფიში** (აშშ) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 6:3 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (24, ავსტრალია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:5 6:1; **ხუან-კარლოს ფერერო** (22, ესპანეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 7:5 4:6 7:6; **დავიდ ნალბანდიანი** (7, არგენტინა) — რადეკ შტეპანეკი (29, ჩეხეთი) 7:6 0:6 7:6

**სეზონის** მხოლოდ მესამეთვის მიწურულს შეძლო როჯერ ფედერერმა ჩვეულ ფორმაში ჩადგომა. შეიძლება, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ შვეიცარიელი ინდიან უელსში საკმაოდ დამაჯერებლად ჩოგნაობს, ხოლო გუშინ ნიკოლა მაჰუსთან შეხვედრაში ალპელმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნარნარი და მრავალფეროვანი თამაში აჩვენა, რაც წლეულს ერთხელაც არ გამოსვლია. შვეიცარიელმა ფრანგი უსასტიკესად მიჩოგნა და მხოლოდ ორი გეიმი აალებინა. ნამატჩევს თვითონ „მხიარული როჯერიც" კმაყოფილი ამბობდა, თითქმის უნაკლოდ ვითამაშეო.

„ეს წლეულს ჩემი უდავოდ საუკეთესო მატჩი იყო. ვფიქრობ, ყველანაირ ავადმყოფობას მოვერიე და ახლა ნელ-ნელა ჩვეული ფორმის დაბრუნება არ უნდა გამიჭირდეს".

კაცთა ბადეში მომხდარი სხვა ამბებიდან სათქმელია რუსთა გვემის ამბავი — ნიკოლაი დავიდენკო და მიხაილ იუჟნი ერთნაირად უმოწყალოდ დაიჩაგრნენ. თუ იუჟნის უხეირო თამაშის ახსნა იმით მაინც შეიძლება, რომ ლეიტონ ჰიუიტმა მას ხელის განძრევის საშუალებაც კი არ მისცა, ძნელი გასაგებია, რა დაემართა დავიდენკოს, რომელიც მასზე გაცილებით დაბალი კლასის მარდი ფიშმა მოუთავა ხელი.

გაცილებით საინტერესო ამბები დატრიალდა ქალთა ბადეში, სადაც უკვე ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. თვარიანად გაუჭირდათ ტურნირის უმთავრეს ფავორიტებს — ანა ივანოვიჩსა და მარია შარაპოვას. ერთმაც და მეორემაც ბლომად შანსები ანიავეს და უაზრო შეცდომების კორიანტელიც დააყენეს, რის გამოც ორივე სამი სეტის განმავლობაში იტანჯებოდა კალიფორნიის თაკარა მზის ქვეშ. მაგრამ, ავად თუ კარგად, ივანოვიჩმაც და შარაპოვამაც მეოთხედფინალში გასვლა შეძლეს, სადაც სერბი ვერა ზვონარიოვას, დაეტაკება რუსი კი — დანიელა ჰანტუხოვას.

„რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრაში იდეალურად თამაშს, ვერ მოვახერხებ, მაგრამ კონცენტრაციის დღევანდელივით დაკარგვა ნაღდად არ მეპატიება" — თითქოს თავს იმართლებდა რუსი პრიმა, რომელიც წლეულს კვლავაც დაუმარცხებელია.

სამაგიეროდ, ადვილად იხეირეს სვეტლანა კუზნეცოვამა და ელენა იანკოვიჩმა. პირველმა თინეიჯერ დანიელ კაროლინ ვოზნიაკის ერთგვარი მასტერ კლასი ჩაუტარა, სერბმა კი ანაბელ-მედინა გარიგესი არ დაინდო.

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00